# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 მარტი, 2009 წელი.

№ 53 (6154)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## რაო, 37 წელია?!

2

რა არის კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი?





## ვენის კონგრესი ქართულად

რამ გამოიწვია ისტერია და აჟიოტაჟი?

8



3

## ეკონომიკურად განადგურებული, პოლიტიკურად დარღვეული, კულტურულად დაქვეითებული...





2

## ბიწაძეს მერაბიშვილი საქართველოს დატოვებას ურჩევს

## საქართველო-რუსეთის პრობლემებზე ამერიკული ლობისტური ჯგუფები ხელს კარგად ითბობენ

10



## მერე შეიძლება თოფსაც დაავლო ხელი კუდიანებზე სანადიროდ

3

## ნეტავ როგორ აპირებენ ვალის გასტუმრებას?

11





## „მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა რისხვა“

7

ადამიანი – დელფინი







9

## კიდევ ერთხელ „შიგნიდან“ დანახული „კგბ“

რეაქცია

# რაო, 37 წელია?!

**„დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს.**

ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლება უკვე მიხვდა, რომ 9 აპრილს ქართველი ხალხი გადადგომას აიძულებს, ვადამდელ არჩევნებსაც დაანიშნინებს და ცდილობს, ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ ბინძური მეთოდებით ბრძოლა დაიწყოს.

— ჩვენ გვაბრალებდნენ ყველაფერს, რისი დაბრალებაც შეიძლებოდა. ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები, თითქოს ჩემი პარტიისა და ოჯახის წევრები აგროვებდნენ იარაღს, დღეს კი ხელისუფლებამ თავისი კონტროლირებადი მასმედიის საშუალებებით დაიწყო აშკარა ტერორი ჩვენი პარტიის მხარდამჭერებზე, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მისივე ინფორმაციით, სპეცრაზმის 20-25-კაციანი ჯგუფი შევიდა პარტიის აჭარის საორგანიზაციო შტაბის უფროსის ზურაბ ავალიანის სახლში და იქ, თითქოსდა, იარაღის მარაგი აღმოაჩინა. გარდა ამისა, დაპატიმრებულია ბადრი ბიწაძის მძღოლი მამუკა შენგელია, თითქოს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის აღმოჩენის ბრალდებით.

ბურჯანაძის განცხადებით, თბილისსა და ბათუმში სულ პარტიის შვიდი მხარდამჭერია დაკავებული.

როგორც მან აღნიშნა, რამდენიმე დღის წინათ ბრიფინგზე გააკეთა განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეფონის ნომრიდან ზარის შესახებ, თუმცა ხელისუფლების მხრიდან ამას არანაირი რეაქცია არ ჰქონია, რაც იმის დადასტურებაა, რომ ხელისუფლება მართლაც ბინძური მეთოდებით იბრძვის პარტიის წინააღმდეგ.

— არ გამიკვირდება, რომ ჩვენი სამართალდამცავების ოსტატობით ერთ დღეს ჩემს ჯიბეშიც აღმოაჩინონ ნარკოტიკული საშუალება, — აცხადებს ბურჯანაძე.

იგი აფრთხილებს ყველა თანამდებობის პირს, არ დაემორჩილონ უკანონო ბრძანებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან მალე დადგება მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

ბურჯანაძემ უკვე მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას, დიპლომატიურ კორპუსს — იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ეცდება, რომ პარტიის ოფისში ან მისი ლიდერის სახლში აღმოაჩინოს ნარკოტიკული ნივთიერება ან იარაღი, ეს ყველაფერი მოხდეს დიპლომატიურ კორპუსთან ერთად.



ე.წ მოდულის შენობაში „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ დაკავებულ წევრებს როინ ბულაშვილსა და გიორგი ბულაშვილს სახალხო დამცველის მოადგილე შეხვდა.

როგორც გიორგი ჩხეიძემ განაცხადა, ერთ-ერთ დაკავებულს როინ ბულაშვილს დაზიანებები აღენიშნება და ამბობს, რომ ეს დაზიანებები დაკავების დროს მიაყენეს.

— ჯერ მხოლოდ ამ ორ პირს შევხვდი. გვაქვს ინფორმაცია კიდევ ოთხის დაკავების შესახებ. ესენი არიან: მამუკა შენგელია, ზურაბ ავალიანი, ვახო ნარსია და ნუგზარ გოგრიჭიძე. მათ ადგილსამყოფელს ვაზუსტებთ და შეხვედრას ვგეგმავთ“, — აღნიშნა ჩხეიძემ.

მისივე თქმით, ბულაშვილი და ბულაშვილი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-გადაზიდვის ბრალდებით არიან დაკავებული.

## მერაბიშვილი ბიწაძეს საქართველოს დატოვებას ურჩევს





**პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით ჩემი დაკავება მზადდება, — განაცხადა სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა უფროსმა, ნინო ბურჯანაძის მეუღლემ ბადრი ბიწაძემ პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ოფისში გუშინ.**

მისივე ინფორმაციით, იგი წინა დღით შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გააფრთხილა, რომ პრეზიდენტი ითხოვს დაჟინებით მის დაკავებას. მან ერთი თვით მირჩია საქართველოდან გასვლა, მაგრამ მე წასვლას არსად არ ვაპირებ.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## საზღვრების ერთობლივი გაკონტროლებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ

**რუსული** მედია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ რუსეთის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიერ საზღვრის დაცვის ერთობლივი კონტროლის დაწყების შესახებ შეთანხმების გაფორმების ვადები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის.

— ეს დოკუმენტები ამჟამად ორი ქვეყნის — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობებში განიხილება. რაც შეეხება მათი ხელმოწერისა და სახელმწიფო საზღვრების ერთობლივი კონტროლის დაწყების კონკრეტულ ვადებს, ეს ვადები ჯერჯერობით ზუსტად განსაზღვრული არ არის, — აცხადებს სერგეი ლავროვის უწყებაში არსებული წყარო და დასძენს, რომ სავარაუდოდ, ამ ხელშეკრულების გაფორმებისა და ძალაში შესვლის შესახებ მხოლოდ მათი ხელმოწერისთანავე გახდება ცნობილი.

## რუსი ახალწვეულები ჩვენს წინააღმდეგ აბრძოლეს, ფულს კი არ უხდიან



**რუს** ახალწვეულებს, რომლებიც ცხინვალში იბრძოდნენ, სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისთვის ანაზღაურებას არ აძლევენ და ვეტერანის სტატუსზე უარს ეუბნებიან. ამის შესახებ გამოცემა „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ იუწყება.

გაზეთის ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის სამხედრო პროკურატურაში რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე ახალწვეულების უფლებების დარღვევის გამო ასეულობით საჩივარია შესული.

ასევე, გაურკვეველია, რის საფუძველზე გაგზავნეს ახალწვეულები ომში. როგორც გამოცემა წერს. თავდაპირველად, სამხედრო ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა, რომ ამ კონტინგენტში ახალწვეულები არ შედიოდნენ, მოგვიანებით თავდაცვის სამინისტრომ აღიარა, რომ საქართველოში ის ჯარისკაცებიც იბრძოდნენ, რომლებიც სავალდებულო სამსახურს იხდიდნენ და ბევრ მათგანს მხოლოდ სამთვიანი მომზადება ჰქონდა გავლილი.

როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ ახალწვეულები ყაზარმებში დააბრუნეს. ამის შემდეგ მათ შეიტყვეს, რომ სამხედრო უწყება — უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო სამსახურისთვის„ დღე-ღამეში კუთვნილი 54 დოლარის გადახდას არ აპირებს. მხოლოდ ეკატერინბურგის გარნიზონში 50 ჯარისკაცს საქართველოში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობსითვის არანაირი ანაზღაურება არ მიუღია. მათ სასამართლოს საშუალებით სახელმწიფოს მილიონი რუბლი მოუგეს.

ХИ-ЭИБ-ЕНИ, ინტერპრესნიუსი

პროტესტი

## გუგული მაღრაძე „რუსთავი 2“-ს ადანაშაულებს

**„ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პროვოკაციებისგან თავდაცვის მიზნით „საქართველოს ქალთა პარტია“ მხოლოდ პირდაპირი ეთერის შემთხვევაში ითანამშრომლებს“, — ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა გუგული მაღრაძემ.**

როგორც მაღრაძემ აღნიშნა, გადაცემა „პოზიციაში“ მიწვეული იყო ალიანსი, რომელშიც შედის ოთხი, მათ შორის „ქალთა პარტია“; გადაცემაში მონაწილეობდნენ მხოლოდ სამი პარტიის, „თავისუფლების“, „ტრადიციონალისტებისა“ და „მომავალის პარტიის“ ლიდერები და გადაცემაში „ქალთა პარტიის“ ლიდერი მიწვეული არ ყოფილა.



— ალიანსის ლიდერებისთვის აღნიშნული ფაქტი მოულოდნელი იყო და ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. „ქალთა პარტიის“ ლიდერის ნაცვლად, გადაცემა „პოზიციაში“ სამი პარტიის ლიდერებს დახვდათ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე, — განაცხადა მაღრაძემ.

გუგული მაღრაძემ აღნიშნულ ფაქტს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია უწოდა და განაცხადა, რომ ტელეკომპანია ხელისუფლების გავლენის ქვეშ იმყოფება.

— ეს გავლენა აშკარაა. მომხდარიდან გამომდინარე „ქალთა პარტია“ „რუსთავი-2“-თან მხოლოდ პირდაპირ ეთერში ითანამშრომლებს, — აღნიშნა გუგული მაღრაძემ.

ინტერპრესნიუსი

პოზიცია

# რა არის კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი?

## „ქართული აკადემია“, საზოგადოების დარბაზი და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია პოლიტიკურ ორგანიზაციებს მიმართავენ

**„ქართული აკადემია“, საზოგადოების დარბაზი და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია პოლიტიკურ ორგანიზაციებს მიმართავენ და აცხადებენ, რომ დღევანდელ ვითარებაში სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე საზოგადოების ყურადღების გადატანა არადრულია.**

**„დღეს, როდესაც არასაპარლამენტო ოპოზიცია და საზოგადოების უმეტესი ნაწილი გაერთიანებულია მიხეილ სააკაშვილის უპირობო გადადგომის მოთხოვნის გარშემო, სავსებით არადროულად მიგვაჩნია ყურადღების გადატანა ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ თემაზე, მათ შორის იმაზეც, სახელმწიფოებრივი მოწყობის რომელი მოდელია საქართველოსათვის უფრო სასარგებლო — საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მმართველობა“,** — ნათქვამია საგანგებო მიმართვაში.

აქვე აღნიშნულია, რომ ამ კონტექსტში უნდა იქნას განხილული „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისა“ და „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ თავმჯდომარეების გიორგი თარგამაძისა და აკაკი ასათიანის 20 მარტის ერთობლივი განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში შექმნილი ტოტალური კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნაა.

**„შექმნილ ვითარებაში ამ იდეის წამოწევა სხვა არაფერია, თუ არა მაშველი რგოლის გადაგდება სააკაშვილისათვის, ვინაიდან მას საშუალება ეძლევა დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, გაითამაშოს პუტინის სცენარი და ახლა უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში, ბოლომდე მიიყვანოს საქართველოს ნგრევისა და დაშლის პოლიტიკა“,** — აცხადებენ „ქართული აკადემია“, საზოგადოების დარბაზი და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია.

მიმართვის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ იდეის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის გადადგომისა და **„ლეგიტიმურად არჩეული ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნული საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ“.**

**„რამდენიმე დღის წინათ საქართველოში მოქმედმა თითქმის, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ შემუშავებულ „ეროვნული თანხმობის დეკლარაციაში“ ჩამოყალიბებულ კოორდინაციის ზოგად პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლებისგან სააკაშვილის ჩამოშორებას და რომლის კონკრეტულ საკითხებად დამუშავება ამჟერად მიმდინარეობს. ამიტომ, მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, რომ დაიცვან ამ დეკლარაციაზე მათივე ხელმოწერით დადასტურებული ვალდებულებები“,** — ნათქვამია მიმართვაში.

ქართული რებუსი

# მერე შეიძლება თოფსაც დაავლო ხელი კუდიანებზე სანადიროდ

**„ენგურჰესზე“ უარი თქვეს რუსებმა. ხელშეკრულების დადება ჩაიშალა. რუსებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ევრობანკის მესამე მხარედ ჩართვა. ენგურჰესის რუსებისთვის მიცემა იმ რებუსის ნაწილია, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება გვთავაზობს — თან რუსეთს აგინებს და თან ყველა სტრატეგიულ ობიექტს მათს ხელში აგდებს.**

ეს რებუსი არცთუ ისე მარტივი ამოსახსნელია, ბევრს რომ ჰგონია. ხანდახან ამ რებუსს არათუ ტაქსის მძღოლები, ოპოზიციური ელიტის წარმომადგენლებიც ძალზე ბანალურად ხსნიან, რომ ეს ხელისუფლება რეალურად პრორუსულია და რომ რუსეთის ლანძღვა-გინებით უბრალოდ ინიღბებიან, და რომ ეს ყველაფერი იგივე რუსეთთან შეთანხმებულია და ა.შ.

აბრახუნებენ ამას და არ ებადებათ კითხვა, კი მაგრამ ვაშინგტონი? ვაშინგტონი დგას და უყურებს, როგორ იბრალებს საქართველოს ხელისუფლება პროამერიკელობას და როგორაა პრორუსი? თუ ამერიკის ხელისუფლებაც პრორუსულია? ისე, რაღა დაგიმალოთ და, ამ ზაფხულს, ომის შემდეგ ერთი ფრიად განსწავლული პოლიტექსპერტი, კერძო, უდიქტოფონო საუბარში გაავებული მიმტკიცებდა, რომ კონდოლიზა რაისი რუსების ქალი იყო.

ამგვარი თეორიებით ორლობეს ვერ გავცდებით. იგივე ლოგიკით ჰილარი კლინტონიც რუსების ქალად მოგვეჩვენება და ობამაც — რუსების კაცად.

მოკლედ, ეს პოლიტიკური რებუსი დიდი თამაშების ანარეკლია და მარტივად არ იშიფრება, თორემ იმას მართლაც ვერავინ უარყოფს, რომ ამ ხელისუფლებამ მთელი ენერგეტიკული ბერკეტები, ეკონომიკა კრემლის მიერ კონტროლირებად რუსულ კომპანიებს ჩაუგდო ხელში. ეს პროცესი კარგად შეეხამა პუტინის პოლიტიკას, რომელიც ჩექმის გაყვანას და ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. „ისახავდა“ — წარსულში იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ამის თქმა უკვე შეუძლებელია, რადგან პუტინი კარგა ხანია ძველ რუსულ მეთოდებს მიუბრუნდა. მიუბრუნდა და ვნახეთ, რაც მოგვიტანა იმ ძველ მეთოდებთან მიბრუნებამ — აგვისტოს ომი. პუტინ-მედვედევს არც ახლა აძლევთ ხელს ლიბერალური პოლიტიკა, რუსული საზოგადოებისთვის ამ ეტაპზე აგრესიული პოლიტიკაა მისაღები. დამშეული რუსეთისთვის ეს უფრო უკეთესი საკენკია, ვიდრე პატარა საქართველოს ეკონომიკური ბერკეტების მოხელთება, მით უმეტეს, რომ ეს ბერკეტები უკვე ჩაგდებულიც აქვს ხელში.

მოკლედ, აგვისტოს ომამდე, ანუ ასპარეზზე ჩექმის დაბრუნებამდე, თითქმის სინქრონში იყო მოსკოვისა და თბილისის პოლიტიკა — მოსკოვი პოლიტსამხედრო პოზიციებს თმობდა ეკონომიკურის სანაცვლოდ, თბილისიც ეკონომიკას უთმობდა რუსეთს და ენით აგინებდა, თან ნატოსკენ იწევდა.



რა იყო ეს, ჩვენი ხელისუფლების პერვერსიული პოლიტორიენტაცია თუ უბრალოდ მცდარი პოლიტიკა? ალბათ მცდარი პოლიტიკა. ქართულ მხარეს ეგონა, რომ ეკონომიკური ბერკეტების მიგდებით რუსეთს გააჩუმებდა და ამასობაში გზას ევროატლანტიკური ალიანსისკენ გაიკვალავდა, ამ დროს კი რუსეთი ეკონომიკურ ბერკეტებს იბარებდა, ნატოსთან დაკავშირებით კი მსუბუქად ილრინებოდა. ნატოსკენ სვლაში პროგრესი იყო, მაგრამ რუსეთმა კარგად იცოდა, რომ გადამწყვეტ მომენტში პარტნიორი და მასზე გაზის გამო დამოკიდებული ქვეყნების წყალობით, იოლად შეეძლო საქართველოსთვის ამ გზის ჩახერგვა. ასეც მოხდა. გერმანია-საფრანგეთის წყალობით, მაპ-იც სანატრელი გვაქვს.

არც თუ უსაფუძვლო უნდა იყოს საქართველოს განსვენებული პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული აღსასრულის გააზრება სწორედ ამ პოლიტეკონომიკური რებუსის კონტექსტში.

იმთავითვე იყო ვარაუდი, რომ ზურაბ ჟვანია სწორედ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მსხვერპლი გახდა. არცთუ უსაფუძვლოა ვარაუდი, რომ იგი სწორედ ამ პროცესს ეწინააღდეგებოდა — ეკონომიკური ბერკეტების რუსეთისთვის ჩაბარებას. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია ის, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, მართლაც გზა გაეხსნა ამ პროცესს და ყველაფერი რუსეთის ხელში გადავიდა. ფაქტია ისიც, რომ იგივე ბენდუქიძე არასოდეს ყოფილა მისი კაცი. და არც ზურაბ ჟვანიას ჩამოუყვანია ის. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ეს ასე ითქვა ლამის ოფიციალურად. ოფიციალურად ერთია, რეალურად —მეორე. თორემ, ოფიციალურად რიგი ობიექტების გასხვისებაზე იგივე ზურაბ ჟვანიაც საუბრობდა. მაგრამ პოლიტთამაშებში ერთია, რას ამბობ ღიად და, რას აკეთებ — მეორეა და მთავარი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბენდუქიძის გავლენის განუხრელი ზრდა, რატომღაც სწორედ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ იწყება. ეს გასაგებია, მაგრამ ძალიან მარტივად ისმის კითხვა, რას აკეთებდა და რას აკეთებს ამ დროს სააკაშვილი, თუკი იგი მართლაც დასავლეთზეა ორიენტირებული? ხომ არაა, მის ხელისუფლების შიგნით სწორედ საგარეო ორიენტაციული ჭიდილი? არც ესაა გამორიცხული, და არც გაუკვირდება არავის, ვისაც კი ძველი მოქალაქეთა კავშირი და შევარდნაძის ხელისუფლება ახსოვს. მოქალაქეთა კავშირი ფრთებად იყო დაფლეთილი, ახალგაზრდული ფრთა დასავლეთისკენ იწევდა, მაშინ როცა იმავე ხელისუფლებაში და იმავე პარტიაში იყო ღიად პრორუსული, ან ფარულად პრორუსული დაჯგუფებები და ამ დაჯგუფებებს შორის დაუნდობელი ბრძოლა მიდიოდა.

შესაძლოა, სწორედ ეს გასაღები ჰქონდეს დღევანდელ პოლიტეკონომიკურ რებუსსაც. და თუ დღესაც ეს ორიენტაციული ჭიდილია ხელისუფლების შიგნით, ამ ხელისუფლებას მართლაც შავად ჰქონია საქმე. ორიენტაციული ჭიდილი კულტურული აღნიშვნაა იმ ფაქტის, რომ ხელისუფლების შიგნით ბლომად რუსეთის კაცები გვყავს. რას იზამენ ეს რუსის კაცები და არაკაცები, იგივე 9 აპრილს? სწორედ ეს ძალები ხომ არ გატეხავენ სააკაშვილის ციხეს შიგნიდან და სწორედ ამ ძალებმა ხომ არ გატეხეს აგვისტოშიც ციხე?

ხომ არ დაგავიწყდათ, ვინ თესდა უმეტესწილად პანიკას საზოგადოებაში? ვინ ავრცელებდა ხმებს, რომ თბილისში ჯარი შემოვიდა უკვე, რომ ამა თუ იმ დღეს აუცილებლად დაიბომბებოდა თბილისი? ეს ხმები ძირითადად გამოდიოდა მაღალჩინოსნების გარემოცვიდან, რომლებიც ახლობლებს „აფრთხილებდნენ“. ასეთი პანიკის მთესველები და მოღალატეები ჯარშიც აღმოჩნდნენ, სხვა ძალოვან უწყებებშიც და უშუალოდ სააკაშვილის გარემოცვაშიც. რატომღაც ომის დროს ძალიან ბევრი ერთდროს პროდასავლელი პრორუსულად აჭიკჭიკდა.

მოკლედ, ამ რებუსის ამოხსნის მცდელობისას, რამდენიმე ვარიანტამდე მივდივართ, ეს ან ხელისუფლების შიგნით დაჯგუფებების დაპირისპირების შედეგია, რის შედეგადაც აცაბაცა ქმედებებთან გვაქვს საქმე, ან თავად ხელისუფლების, როგორც ერთიანი ორგანიზმის მცდარ პოლიტიკასთან, რომელიც პოლიტიკურ ან დიპლომატიურ ასპარეზზე კომპრომისს ეკონომიკურ პოლიგონზე დათმობას ამჯობინებს. ამჯობინებს და ავიწყდება ის, რომ პოლიტიკის საფუძველი სწორედ ეკონომიკაა, რომ სწორედ ეკონომიკა განსაზღვრავს მთელ რიგ პოლიტსაქციელებს. იგივე დასავლეთის ქცევის მოტივაციაში სწორედ ენერგეტიკულ ფაქტორებს ენიჭებათ გადამწყვეტი როლი.

არის კიდევ ის ვარიანტი, რაც თავშივე ითქვა, რომ ეს ხელისუფლება რუსეთის საქმეს აკეთებს, პირით წყევლის და ეკონომიკური ძუძუებით — ლოცავს. ქვეყანას აზარებს რუსეთს. ამ ლოგიკით, ომის შედეგად ტერიტორიების დაკარგვაც, საერთოდ ომის წარმოებაც რუსულ საქმედ შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ ეს ყველაფერი აშკარად დაუჯერებლის ზონაში გადადის, არა იმიტომ რომ ეს ხელისუფლებაა უკიდეგანოდ პატრიოტი და ამას არ ჩაიდენდა, არამედ ისევ და ისევ ამერიკის ფაქტორის გამო. გამოდის, რომ სააკაშვილი და პუტინი ერთად ატყუებენ მარტო საქართველოს მოსახლეობას კი არა, ამერიკას — ხელისუფლებიან „ცერეუიან“, ხალხიან-ელიტიანად.

რაც არ უნდა იყოს, საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ არც ერთი ვარიანტი არ მეტყველებს, შიდა დაპირისპირებაა, მცდარი პოლიტიკა თუ რუსეთის პოლიტიკის გატარება, ყველა ვარიანტში მათი ბრალია. იმიტომ, რომ არანაირი გამართლება არა აქვს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის დაკარგვას, სტრატეგიული ობიექტების სხვა ქვეყნისთვის დათმობას, მით უმეტეს იმ ქვეყნისთვის, რომლისგან დამოუკიდებლობასაც ლამობ. ეს ყოვლად უმსგავსოა, მით უმეტეს მას მერე, რაც ეს მტრული ქვეყანა ქვეყანას აგიოხრებს. თავად არ უნდა დაუკარგო აზრი შენს მონაპოვარს,, ამერიკასთან სტრაგეგიული ხელშეკრულების გაფორმებას რუსეთისთვის „ენგურჰესის“ მიცემით.

დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ ყველაფერს შესაძლოა დაბალანსების პოლიტიკა დაარქვას, მაგრამ ნამეტნავად თემატური დაბალანსება ხომ არაა?

ერთიცაა. შესაძლოა, რაც დღეს ბუნდოვანია და გაუგებარი, ხვალ გასაგებიც კი გახდეს. იმიტომ, რომ შეუძლებელი და არასერიოზულია, სათანადო ინფორმაციების უქონლად, მხოლოდ ინტუიტიურად აანალიზო ამ ტიპის მოვლენები და სწორი დასკვნები გამოიტანო. ასე ჰარი-ჰარალეზე მსჯელობა კაცს შეთქმულების თეორიებამდე მიგიყვანს, მერმე თოფს ხელს დაავლებ და კუდიანებზე სანადიროდაც გაიქცევი.

**რეზო შატაკიშვილი**

caucasia-experts

რა დღეშიც ვართ!..

# ეკონომიკურად განადგურებული, პოლიტიკურად დარღვეული, კულტურულად დაქვეითებული...



***გამოვხატავთ** ათეულ ათასობით ქართველის აზრს და გულისტკივილს, რომ ჩვენს ხალხს ასეთ ქვეყანაში ცხოვრება არ დაუმსახურებია.*

*დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარებისთვის მთავარია ეკონომიკა, — ხალხის, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული ყოველი იურიდიული და ფიზიკური პირის ეკონომიკა და არა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კულტივირებული ეკონომიკა!..*

*იქნებ, რაიმე ახალს ვიგონებ? იქნებ, აუცილებელია განუსაზღვრელი ოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ქვეყნის, დარგის, ბაზრის და საზოგადოებრივი აზრის მართვა, როგორც ამას ბატონი პრეზიდენტი და მისი გუნდი ამტკიცებს? იქნებ, როგორც მართავენ ქვეყანას, ისე ასწავლეს დასავლეთში ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას?*

ამას წინათ ევროკავშირის წევრების სამიტზე მთავარი შეთანხმება შემდეგი ფორმულით გამოიხატა — „ბიზნესის მხარდაჭერა პროტექციული არ უნდა იყოს“.

არა მარტო პროტექციული... ყველას გვახსოვს, რომ ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტად არჩევის მეორე დღესვე განაცხადა: **„თუ ვინმეს რაიმის აშენება ან პროდუქციის გამოშვება სურს, ჯერ დააფუძნოს პარტია, გაიმარჯვოს არჩევნებში და შემდეგ რაც უნდა ის აშენოს“.** ამით მან მიანიშნა ჩვენი ქვეყნის ყველა მეწარმეს და არა მარტო მათ, რომ **„რადგან წისქვილს ჩვენი მარცვალი აყრია და ჩვენი დროა, სხვისი საფქვავით დაფქვას არ დავუშვებთო“.**

**მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა პრეზიდენტისა და ხელისუფლების აღნიშნული მიზანდასახულობა: მოახდინეს რა ძალაუფლების უზურპაცია, ეკონომიკის ე. წ. მართვას დიქტატორული მეთოდებით ახორციელებენ.**

ქვეყნის ინტელიგენცია აღშფოთდა, როცა კახეთში რომელიღაც მევენახემ ვაზი აჩეხა, მაგრამ მანამდე ხელისუფლებამ მევენახე კაცს ღვინის საკუთარი ქვეყნის ბაზარზე გამოტანა აუკრძალა. თუ საგნებს თავის სახელებს დავარქმევთ, ფაქტია მევენახეთა ექსპლუატაცია.

მეზობელი ქვეყნების ბაზრების ჩაკეტვის გამო ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა სასოფლო პროდუქტების მწარმოებლები.

ქვეყანაში ცხოვრების აუტანელ პირობებს ქმნის ჩვენი პრეზიდენტისა და ხელისუფლების დაუოკებელი მისწრაფება, გაყიდონ უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე ყველა მომგებიანი ობიექტი საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამით ხელი შეუწყონ ვირტუალური ეკონომიკის გაფურჩქვნას.

## ვირტუალური ეკონომიკა

**ხელისუფლების მიერ ევროგაერთიანებებიდან და მსოფლიო ბანკიდან აღებული სესხის არამიზნობრივი გამოყენება იწვევს ვირტუალური ეკონომიკის გაფურჩქვნას.** მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში თავისი წვლილი ჩვენმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამაც შეიტანა და თუ აშშ-ში გამოააშკარავეს მთავარი თაღლითები, აუცილებელია ჩვენთანაც გამოვიძიოთ კრიზისის გამომწვევი მიზეზები და დამნაშავეებს პასუხი ვაგებინოთ!

იხ. 4 გვ.

რა დღეშიც ვართ!..

# ეკონომიკურად განადგურებული, პოლიტიკურად დარღვეული, კულტურულად დაქვეითებული...

(მესამე გვერდიდან)

როგორც ცნობილია, საქართველოსთვის გამოყოფილ 4,5 მილიარდი დოლარიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა ეროვნული ვალუტის გამყარებას ხმარდება, ხოლო 420 მილიონი უნდა მოხმარდეს გზების მშენებლობას და მათ შორის 60 მილიონი — თბილისი-ახალქალაქის გზის მშენებლობას, რომელიც დღეისთვის არავის არ ჭირდება და მის მშენებლობას არანაირი უკუგება არ ექნება!

ყველას ესმის, რომ გზების მშენებლობა, არხების გაწმენდა, ნაპირსამაგრი სამუშაოები და სხვა, უპირველეს ყოვლისა, „საჭიროა“ მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების „მოტეხვისათვის“, რომ „მოტეხილში“ გათვალისწინებული იქნება ინვესტორების სოლიდური წილიც, მაგრამ როცა ქვეყანა ასეთ მდგომარეობაშია, იქნებ, მოიღოს მოწყალება ხელისუფლებამ და ხელი აიღოს ქვეყნის რეალური ეკონომიკის ნგრევაზე, მით უმეტეს, რომ შემოტანილ ინვესტიციას ბიუჯეტიდან ვიხდით.



## რეალური ეკონომიკა

**უპირველესად უნდა ვთქვათ, რომ რეალური და ვირტუალური ანტონიმები არ არიან, როგორც ამას არასწორად წერდნენ პრესაში. ვირტუალური მდგომარეობა კვანტურ თეორიაში არის სისტემის შუალედური, ძალიან მოკლევადიანი მდგომარეობა, როცა დარღვეულია კავშირი სისტემის ენერგიას, იმპულსსა და მასას შორის (ალბათ, აქედან შემოვიდა ეს ტერმინი).**

ჩვენს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას ნამდვილად შეესაბამება ასეთი განსაზღვრა.

როგორც გაზეთი „ქრისჩენ საინერს მონიტორი“ წერს, „საქართველოს ხელისუფლებას მომსახურების გარდა არაფრის შეთავაზება არ შეუძლია“. ასეთი იმიჯი შეგვიქმნა მიხეილ სააკაშვილმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ.

**იქნებ, შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში რეალური ეკონომიკის განვითარება? იქნებ, უნდა დავეთანხმოთ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ აზრს — „დღევანდელ მსოფლიოში სხვა დიდ სახელმწიფოსთან მიკედლების გარეშე ჩვენთვის სხვა ალტერნატივა არ არის“. „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.**

**არ გეცოდებათ ეს ავტორი? წარმოდგენა რომ არა აქვს ჩვენს პოტენციალზე, ჩვენს ხალხზე.**

**იქნებ, ყველაფერზე ნათელი წარმოდგენა აქვს და სხვა რამეშია საქმე?**

ჩვენ რეალური ეკონომიკის მხოლოდ ერთი ვარიანტი განვიხილოთ.

**წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღეს ხელისუფლებამ გამოაცხადა ღია ტენდერი ხუდონჰესის მშენებლობაზე, რომელიც ჩვენს ჰიდრომშენებლებს დაწყებული ჰქონდათ. ტენდერში გამარჯვებული „სამამულო“ კომპანია 3 წელიწადში გადასცემს საექსპლუატაციოდ 500 მგვტ სიმძლავრის ჰესს (პროექტი 700 მგვტ-ს ითვალისწინებდა).** გამომუშავებული ელექტროენერგია ხელისუფლებამ რომ მთლიანად გაყიდოს, მას მადლიერებით იყიდის რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და თვით ირანიც. ჰესის გამომუშავების (2,6 მილიარდი კვტ.სთ) და მინიმალური სარეალიზაციო ტარიფის (2,5 ცენტი) გათვალისწინებით, წლიური შემოსავალი იქნება 65 მილიონი დოლარი (შედარებისთვის: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან საქართველო იღებს 50 მლნ დოლარს).

ჰესის საექსპლუატაციოდ გადაცემა მკვეთრად აამაღლებს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს, მტერი და მოყვარე, ყველა დაინახავს, რომ ჩვენ არა მარტო კონფლიქტების ქვეყანა ვართ, არამედ საჭირონიც რეგიონისთვის. 2-3 წელიწადში მკვეთრად შეიცვლება ექსპორტ-იმპორტის სალდო ექსპორტის სასარგებლოდ, მკვეთრად გამყარდება ჩვენი ეროვნული ვალუტა, განისაზღვრება ჩვენი **წვლილი გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოხდება 894,4 ათასი ტონა პირობითი საწვავის წლიური ეკონომია, ჰესი დაასაქმებს ათასობით ადამიანს.**

რაც შეეხება **მშენებლობის დაფინანსებას,** მისი დაფინანსება შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის კომერციულ ბანკებს და ფიზიკურ პირებს. ჩვენი მოქალაქეებისთვის მომგებიანია იპოთეკური სესხებით დაფინანსებაც. **თუ თბილისში ძვირადღირებულ ბინებში სესხს იხდიან 10-15 წლის განმავლობაში, ჰესის მშენებლობისათვის აღებულ სესხს გადაიხდიან 8-10 წლის განმავლობაში და, რაც მთავარია, ჰესის ამოქმედებიდან შემდეგ სესხს გადაიხდიან მიღებული (დივიდენდებიდან) მოგებიდან.**

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისაგან მხოლოდ ტენდერის გამოცხადებაა საჭირო, ასე ნაბიჯს მაინც არ გადადგამდა, რადგან მსგავსი რეალური ეკონომიკა და მყარშემოსავლიანი ჩვენი მოქალაქენი ხელისუფლებას ხელს არ აძლევს. **მათ უნდათ პრობლემებიანი, გაღატაკებული ქვეყანა, რომ გადაფრინდნენ ბრიუსელში, ჟენევაში, ვაშინგტონში, მოითხოვონ ქვეყნის სახელით დახმარებები, ინვესტიციები და მასში საკუთარი გაზრდილი აპეტიტი გაითვალისწინონ!**

ჩვენ გვწამს, რომ დღეს თუ არა ხვალ, შეიქმნება ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დაადგენს, რა ოდენობის ზარალი მიაყენეს ქვეყანას პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ძალაუფლების უზურპაციით, ეკონომიკის „მართვით“.

**იმისთვის, რომ არ მისცეს ჩვენს ხალხს წარმოების უფლება, სასურველის აშენების უფლება, — ვაიხელისუფლება უკადრებელს კადრულობს!**

გაცილებით მეტ გადაულახავ პრობლემებს უქმნის აღმასრულებელი ხელისუფლება რეალური ეკონომიკის სხვა ვარიანტებს.

**ნუგზარ კობახიძე.**

***P. S. ჩვენ შევეცადეთ, მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს შევხებოდით; გამონაკლისის სახით უნდა დავუბრუნდეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც მთავრდება მოწოდებით, „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა“.***

***საინტერესოა, თუ იცის ავტორმა საიდან იწყება სამშობლო? სხვების მსგავსად, მისთვისაც სამშობლო საკუთარი ოჯახით და საკუთარი კუჭით ხომ არ იწყება?***

***ნ. კ.***

კერძო აზრი

# ქართული პარადოქსები

## სამი ბაზა არ გვინდოდა, ახლა ხუთი იქნება!



***გამსახურდიას დროიდან მოყოლებული, ჩვენი მმართველი პოლიტიკური ელიტა საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარ მტრად მიიჩნევდა რუსეთს და დაჟინებით მოითხოვდა მისი სამხედრო ბაზების და ჯარის ნაწილების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. „თავი დაგვანებოს რუსეთმა, მისი არაფერი გვინდა“ გაისმოდა ბოლო დრომდე მისგან და ინტელიგენციის ნაწილისგანაც. და „მიაღწიეს“ კიდეც მიზანს.***

**2006 წლის 13 აპრილს** საქართველოს პარლამენტმა ერთხმად რატიფიკაციაჰყო საქართველოში რუსეთის ორი უკანასკნელი ბაზის, — ახალქალაქისა და ბათუმის, — გაყვანის რუსეთთან შეთანხმებული გრაფიკი. დარბაზში ყველა პარლამენტარი ფეხზე ადგომით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

ნათელი გახდა, რომ რუსეთი გვანებებდა თავს.

იმავე დღეს მოსკოვს ეწვია საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სოფლის მეურნეობის მინისტრის მეთაურობით. რისთვის? რუსეთმა აკრძალა ქართული ღვინის შეტანა რუსეთის ბაზრებზე, ოფიციალურად, მისი უსაფრთხოების მიზნით. არაოფიციალურად ეს იყო რუსეთის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ასე აცხადებდა საქართველოს ხელისუფლება.

საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ ატეხა განგაში და თავის მართლება: ეს ჩვენი თავისუფლების ფასია, რას იზამ, თუ გვინდა თავისუფლება, უნდა შევურიგდეთ ამას. ასე ცრუობდნენ ცინიკურად. რასაკვირველია, არ ამბობდნენ მის ნამდვილ მიზეზს, რომ ჩვენ არავითარი თავისუფალი ქვეყანა არა ვართ, რომ ჩვენ აშშ-ს კოლონია ვართ, რუსეთის მიმართ მისი მტრული პოლიტიკის გამტარებელი.

საქართველოს ოფიციალურ სამთავრობო დელეგაციას მოსკოვში ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვდა. ალბათ საქართველოს პარლამენტში ზემოაღნიშნულ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ტაშის გრიალი ისეთი ძლიერი იყო, რომ მოსკოვში ჩასული ჩვენი დელეგაციის ხმა გადაფარა და ამიტომ მას არავინ შეეგება.

საქართველოს დელეგაციის მეთაური, სოფლის მეურნეობის მინისტრი მოითხოვდა, დიახ, მოითხოვდა რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმისაგან — გენადი ონიშჩენკოსაგან ეჩვენებინა საბუთები ქართული ღვინის დაბალი ხარისხის შესახებ, გაეუქმებინა ქართული ღვინის რუსეთში შეტანის აკრძალვა.

ონიშჩენკომ არა თუ არავითარი საბუთი არ წარუდგინა ჩვენს მინისტრს, საერთოდ არ ისურვა მასთან შეხვედრა.

ნათელი გახდა, რომ რუსეთმა კი დაგვანება თავი და საქართველოდან მისი ბაზების გაყვანის გრაფიკსაც მოაწერა ხელი, მაგრამ უკვე ჩვენ არ ვანებებდით მას თავს, რუსეთის რესურსებისა და მისი გაუჯერებელი ბაზრის გამოყენება, იქ ჩვენი ხარისხიანი და უმეტესად კი უხარისხო საქონლის გასაღება გვსურდა, პროტესტს ვუცხადებდით მათ ამ პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო.

„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, ჭკვიანნი, ბრძენნი. ჩვენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ ტაშის გრიალით ვხვდებოდით. გარდა ამისა, მოვითხოვდით რუსი სამშვიდობოების გაყვანას კონფლიქტების ზონებიდან, რუსეთს ვპირდებოდით ნატოში შესვლას, ჩვენმა პრეზიდენტმა თავისი საქმიანობის მთავარ ამოცანად გაიხადა რუსეთის სახელმწიფო იმიჯის დისკრედიტაცია მსოფლიო არენაზე, როგორც „არასაიმედო პარტნიორისა“, იგი პრაქტიკულად ამით იყო დაკავებული და ყოველივე ამის შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება — ჩვენი ღვინის შეტანის აკრძალვის შესახებ — გვაშფოთებდა.

მაგრები ვართ, რაც მართალია, მართალი — უმაღლესი დონის პოლიტიკა და დიპლომატია გვაქვს.

ახლა უკვე რუსეთის ჯერი იყო. ჩანდა, რომ მისმა ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, არა მარტო დაგვანებოს თავი, არამედ ჩვენი აღარც არაფერი უნდოდა. ღვინის შემდეგ ონიშჩენკომ „ბორჯომს“ „მოჰკიდა ხელი“, მის „ხარისხს“ სწავლობდა და, ცხადია, მანაც ჩვენი ღვინის ბედი გაიზიარა.

ვინ დაზარალდა? ჩვენი ხალხი — მმართველ პოლიტიკურ ელიტას ხომ საკუთარი ხალხის ბედი არასოდეს აინტერესებდა.

ამასობაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი კუვეიტში გაემგზავრა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის დასამყარებლად. კუვეიტი უნდა „ჩაენაცვლოს“ რუსეთს ჩვენს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში.

**2006 წლის 18 ივლისი.** საქართველოს პარლამენტმა ერთხმად, ტაშის გრიალით მიიღო „ისტორიული“ გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ.

პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ გრიგალაშვილმა ლექსით დაამთავრა თავისი გამოსვლა, რუსებს გველები უწოდა და ძლიერ ექსტაზში განაცხადა, რომ რუსები როგორც მოსრიალდნენ, ისე უნდა გასრიალდნენ საქართველოდანო. ოდნავაც არ გაუაზრებია, რომ თვით შხამიანი გველის ენით სწამლავდა არა მხოლოდ რუსს, არამედ იმ მილიონ ჩვენს მოქალაქეს უწამლავდა ცხოვრებას, ვინც ავზედობის ჟამს, სხვათა შორის, შექმნილს ისევ იგივე შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო და გადახვეწილიყო რუსეთში.

ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიციამ, რომელსაც კარგა ხანია ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული პარლამენტის სასესიო მუშაობისათვის და არ მიუღია კენჭისყრაში მონაწილეობა, არ თვლიდა, რომ უმრავლესობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რადგან ანალოგიური გადაწყვეტილებები ადრეც ყოფილა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ოპოზიციას დაუთვლია კიდეც მათი რიცხვი და აღმოჩნდა 9 ასეთი გადაწყვეტილება.

ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიციის მხრივ უმრავლესობის მიერ მიღებული აღნიშნული „ისტორიული“ დადგენილების ასეთმა გაბიაბრუებამ დიდად გაანაწყენა უმრავლესობა და მეორე დღეს — **10 ივლისს** — მისმა „დამრტყმელმა ძალამ“: ნადირაძემ, ბოკერიამ, ბაქრაძემ და თვით კოტე გაბაშვილმა სპეციალური ბრიფინგი გამართეს და „დაასაბუთეს“, რომ უმრავლესობის „დიდი ძალისხმევით“ მიღებული გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონებიდან რუსეთის სამშვიდობოების გაყვანის შესახებ ნამდვილად „ისტორიულია“ და, რომ ოპოზიციამ, რომელმაც არ მიიღო განხილვაში და კენჭისყრაში მონაწილეობა, ხელიდან გაუშვა შანსი, დაემკვიდრებინა ადგილი საქართველოს ისტორიაში.

**„2009 წლის მარტი.** რუსეთის ფედერაციისა და მის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებული აფხაზეთის ხელისუფალნი შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთში რუსეთის სამი სამხედრო ბაზა 49 წლით, ხოლო ანალოგიური შეთანხმებით სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან იქ ორი რუსული სამხედრო ბაზის ყოფნა 99 წლით განისაზღვრა.

ბედის ირონია თუ ჩვენი აბსოლუტური იდიოტიზმი? აი სადამდე მიიყვანა შევარდნაძე-სააკაშვილის, უფრო ზუსტად, აშშ-ს მმართველობამ ჩვენი ქვეყანა. სამი რუსული სამხედრო ბაზა არ გვინდოდა საქართველოში და არც რუსული სამშვიდობოები. სამი რუსული სამხედრო ბაზა მივიღეთ მხოლოდ აფხაზეთში. აშშ-მა ბრმა იარაღად გამოგვიყენა გასული წლის აგვისტოში, რუსეთის რეაქციის შესამოწმებლად ჩვენზე, როგორც საცდელ ცხოველზე ექსპერიმენტი ჩაატარა, რუსეთს დაგვაჯახა და ახლა რუსეთი თავისი 5 სამხედრო ბაზით სულ ცოტა კიდევ ერთი საუკუნით დამკვიდრდა საქართველოში.

**ვალერიან ადვაძე**

პრობლემა

# „ისმინე, სწავლის მძებნელო!“...

## ისევ ე. წ. ერთიანი ეროვნული გამოცდების გამო

**იწურება წლევანდელი სასწავლო წელი და ჩვენი ყოჩაღი რეფორმატორი განმანათლებლები, თუ გნებავთ, განმანათლებელი რეფორმატორები, მოუხშირებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე (ეეგ!) საუბარს. არადა ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე დაიწერა, რომ თუ ერთიანი გამოცდები გასაგებია (ყველასთვის საერთო, ყველასთვის ერთნაირი), სრულიად გაუგებარია და მეტიც, უაზროა „ეროვნული გამოცდები“.**

ეროვნულობა სადაც საჭირო და არსებითია (მაგალითად, პირადობის დამადასტურებელ საბუთში), იქ არ დაგვიყენეს და გამოცდებს მიატენეს.

აბა, თუ ღმერთი გწამთ, რა ეროვნულობას უნდა ვხედავდეთ საბუნებისმეტყველო საგნებში (ვთქვათ, ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია...), უცხო ენებში (რუსული, ინგლისური, გერმანული...) ჩასატარებელ გამოცდებში, რატომ არიან ისინი ეროვნული? ერთგვარი პირობითობით ეროვნული შეიძლება იყოს გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიაში; და კიდევ, მე თუ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი აბიტურიენტი ვარ, საქართველოს მოქალაქე და ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ვაბარებ მისაღებ გამოცდებს, რატომ არის ეს გამოცდები ჩემთვის (რუსი ვარ, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, ქურთი თუ სხვა), რა, ეროვნულობა მეცვლება?

აქ ხომ უბრალო გამოსავალია — დავარქვათ ამ პროცესს „ერთიანი მისაღები გამოცდები“ და მორჩა (ეეგ!). რუსეთში შემოღებულია „Единые Государственные экзамены“ (ЕГЭ). რაც ჩვენს ამჟამინდელ „ეეგ“-ს სჯობია, თუმცა ძველად („ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“...) „სახელმწიფოდ“ უმაღლესი სკოლის გამოსაშვებ, დამამთავრებელ გამოცდებს მოვიხსენიებდით.

ამდენს რომ დადიან „უცხოეთებში“ ეგ ჩვენი ყოჩაღი რეფორმატორები, თუ დაასახელებენ რომელიმე საზღვარგარეთულ ქვეყანას, სადაც მისაღებ გამოცდებს „ეროვნულს“ უწოდებდნენ?

ეს — სახელწოდებასთან დაკავშირებით. ახლა კი არსებითად შევხედოთ საკითხს და მეზობელი რუსეთის მაგალითზე ვნახოთ, თუ რა მოაქვს მაგ ЕГЭ-ს, ვნახოთ თუ რას ფიქრობენ ЕГЭ-ზე გინდა იქაური მოქალაქენი, გინდა სპეციალისტები. ვნახოთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ ამასწინანდელ (18-24 თებერვლის) ნომერზე დაყრდნობით. ვნახოთ იმ ვარაუდით, რომ „მულს ეუბნებოდნენ, რძალო შენ გაიგონეო“, გამოგვივა...

„ლიტერატურნაია გაზეტას“ ერთი მკითხველი:

**„ეგ ფურსენკო (რუსეთის განათლების მინისტრი — თ. ე.) უნდა გადააყენო თავის ЕГЭ-სთან ერთად! შეუთხზავად (ქაღალდზე შენი აზრების გადმოცემის უნარის არქონისას), კრიტიკული ანალიზის გარეშე, ენის უცოდინრად ვერ იქნება ლიტერატურის საგანი.**

**შესანიშნავია მხოლოდ ავტომოყვარულთა კურსების გამოსაშვებ გამოცდებზე (საიდანაც მოვიდა კიდევაც) კარგი მასწავლებელი, ისევე როგორც საერთოდ კარგი, ძალიან ცოტაა“.**

მეორე მკითხველი:

**„ვაი, რომ ბავშვები ახლა გაკვეთილებზე მხოლოდ იმის ცდას ხედავენ, კლასიკური ლიტერატურა ვერ გაიგონ და გაუგებრად იხრიდნენ ქედს მწერლებისა და... მასწავლებლის წინაშე. პედაგოგს კი დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და ამბიციურად ეკიდება „გაუნათლებელთ“.**

კიდევ ერთი მკითხველი:

**„მარჯვე რეფორმების“ დრო იმითაც გამოირჩევა, რომ რუსი კლასიკოსები კინოდან და ტელევიზიიდან სულ განდევნეს და სტალინური რეპრესიების მსხვერპლებით ჩაანაცვლეს... მთელი რუსული კლასიკა ხომ მსოფლიოშია ცნობილი, მთავრობა კი „სტალინურ ბუასა“ და სხვა ხალტურას აფინანსებს. რუსეთს უცხოეთში უკვე აღიქვამენ, როგორც „გულაგის“ ქვეყანას და არა ტოლსტოის, ჩეხოვის, რეპინისა თუ ჩაიკოვსკის სამშობლოს“.**

სიტყვა სპეციალისტს გადავცეთ — ЕГЭ-ს შედეგები კარგადაა გადმოცემული ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის **ვიქტორ დოცენკოს** სტატიაში, რომელიც ჟურნალში **„ნაუკა ი ჟიზნ“** გამოქვეყნდა. ის რამდენიმე წელიწადს ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას პარიზის პიერ და მარია კიურების სახელობის უნივერსიტეტში.

**„საფრანგეთში დიდი ხანია შემოღებულია ერთიანი სახელმწიფო გამოცდა, თუმცა იქ იწოდება, როგორც „ბაკი“ (სიტყვისგან „ბაკალავრი“). ფრანგული ბაკის შემოღების მოტივაცია დაახლოებით ისეთივეა, რაც ჩვენი ЕГЭ-სა. ყველა მოსწავლე რომ თანაბარ პირობებში ჩადგეს, განათლების ნიადაგს დაყრდნობილი კორუფცია რომ მოისპოს, გამოსაშვებთა მიმართ მოთხოვნები რომ უნიფიცირებულ იქნას და ასე შემდეგ. მოკლედ, ყველაფერი რომ პატიოსნად და სამართლიანად იყოს.**

**და მაინც შემიძლია ვაცნობო იმათ, ვინც ჯერ კიდევ არ იცის, რომ „სურდათ რაც უკეთესი იქნებოდა, გამოვიდა კი როგორც ყოველთვის“ მარტო რუსეთში როდი ხდება.**

**ასე და ამრიგად, ამ სასწავლო წელს აღმოვაჩინე, რომ ჩემი 50 პირველკლასელი სტუდენტიდან რვას სამი მეექვსედი (3/6) ჰგონია ერთი მესამედის (1/3) ტოლი. ხაზს ვუსვამ: ესენი არიან ახალგაზრდები, რომლებმაც ეს-ეს არის ჩააბარეს „მეცნიერული ბაკი“ ანუ ის, რომელშიც პრიორიტეტი ეძლევა მათემატიკასა და ფიზიკას. ყველა ექსპერტი, ვისაც ეს ვუამბე, ეძებს (მცდარ) მათემატიკურ მსჯელობას, რომელსაც მსგავს შედეგამდე შეუძლია მიყვანა. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით მარტივადაა. იმათ ასე ჩააგონეს სკოლაში, ასეც დაიმახსოვრეს, ვითარცა ბეჯითმა მოსწავლეებმა (უნივერსიტეტში კი მხოლოდ ბეჯითები ხვდებიან). სულ ესაა.**



იხ. 7 გვ.

ინფორმაცია

### რა იმედით დაბრუნდა ბაქრაძე ამერიკიდან?



**პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.**

**ბაქრაძე შეხვედრებს გამართავს ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან, სენატორებთან და ა.შ.**

**შეხვედრებზე საუბარი შეეხება საქართველოში არსებულ რეალობას, რუსულ-ქართულ ურთიერთობებს და შიდა პოლიტიკურ ვითარებას.**

**ამერიკიდან დავით ბაქრაძე 29 მარტს დანიაში გაემგზავრება, შემდეგ კი ფინეთს ესტუმრება, სადაც ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს ხელისუფლების პირველ პირებთან.**

### თუ არ იცის, ჭორად რადა თვლის?



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე არ ადასტურებს გავრცელებულ ხმებს, რომ, შესაძლოა, 9 აპრილს საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ჩამოვიდეს.**

**როგორც გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს ვერ გააკეთებს, რადგან ამის შესახებ არაფერი იცის.**

**მისი აზრით, ეს არის სრული ჭორი, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ ვიზიტის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს.**

ინტერპრესნიუსი

დედაქალაქი

# ახალი გენგეგმა გველირსა!..

## შეიძლება ტრამვაი ქალაქში ისევ გამოჩნდეს



**თბილისის გენერალური გეგმა მზად არის. ქალაქს გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ჰქონდა ასეთი გეგმა, მას შემდეგ ცხოვრება მკვეთრად გათანამედროვდა, მაგრამ „პასპორტის“ შექმნას არადა არ დაადგა საშველი.**

გერმანიის მხარდაჭერით სპეციალისტთა ჯგუფი ორი წელიწადია ამ საკითხზე მუშაობს. ჟურნალისტთა თხოვნით თბილისის მთავარმა არქიტექტორმა **მიხეილ ავალიანმა** გეგმის წარდგენა ამ დღეებში „რია-ნოვოსტის“ ოფისში მოაწყო. დეტალები კი გენგეგმის მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა **ირაკლი მურღულიამ** გაგვაცნო.

ქალაქის ნორმალური განვითარებისთვის გენერალური გეგმა აუცილებელია, მისი არარსებობა თბილისის სისტემური წინსვლისთვის ხელშემშლელ უამრავ ფაქტორს ქმნიდა. არქიტექტურის სამსახური საკრებულოს უახლოეს სხდომაზე წარადგენს ამ დოკუმენტს დასამტკიცებლად.

ამის პარალელურად მიწათსარგებლობისა და მშენებლობასთან დაკავშირებით სხვა ცვლილებებიც განხორციელდა. მშენებლობის ნებართვის აღებისთვის საჭირო პროცედურები გამარტივდა და დაჩქარებულ ვადებში გაიცემა (1-დან 10 დღემდე). 36 პროცენტამდე შემცირდა მიწის ნაკვეთის ნორმატული ფასი. თუ ადრე მშენებლობის ნებართვის აღებამდე უნდა გადახდილიყო K2 კოეფიციენტის გადასახადი, ახლა ამ თანხის გადახდა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის აღებიდან ერთი წლის განმავლობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცემათ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები ააშენონ შესაბამისი სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტით, ხოლო პროექტის ავტორთან მერიის სამსახურის გარეშე შეძლონ ურთიერთობის მოწესრიგება.

მიხეილ ავალიანმა მასმედიას სტატისტიკაც გააცნო. 2007 წელს 1200 მშენებლობის ნებართვა გაიცა, რამაც 2 მილიონი კვ. მ. მოიცვა, ხოლო 2008 წელს 20.22 მშენებლობის ნებართვა 2 მილიონ 400 კვ.მ-ზე გასცეს.

დამზადდა გენერალური გეგმის ინტერნეტვერსია, რაც უფრო გააიოლებს ამ დოკუმენტში ცვლილებების შეტანას. თუმცა ზონები უკვე მკაცრად არის განსაზღვრული და უბნები სისტემურად უკვე საბოლოო სახით არის მოწესრიგებული.

ქალაქის უპირველესი პრობლემაა საწარმოო ზონები. ეს ეხება საბურთალოს, ნაძალადევს, დიღომს. არქიტექტურის სამსახური ასეთ ობიექტებს ქალაქის საზღვრებს გარეთ გაიტანს, ხოლო ისეთ ობიექტებს, რომელიც ჯანმრთელობას არ ვნებს, დატოვებენ. სავარაუდოდ, საწარმოები ლილოს ტერიტორიაზე გადავა.

აქამდე დიდი ინტენსივობით მხოლოდ საცხოვრებელი ზონები ვითარდებოდა, თუმცა არქიტექტურის სამსახური მიიჩნევს, რომ თანაბრად უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი და სატრანსპორტო ზონებიც. ქალაქის ისტორიული ნაწილი აბსოლუტურად უნდა შენარჩუნდეს, თუმცა ძეგლების რეაბილიტაცია-რესტავრაცია აუცილებელია. „საქართველოს რესპუბლიკის“ კითხვაზე, თუ რა ეშველება იმ პროექტებს, რომლებმაც უკვე დაამახინჯეს ქალაქის იერსახე, ბატონმა მიხეილმა გვიპასუხა, რომ ეს პროექტები, მით უმეტეს, უკვე დამთავრებული შენობა-ნაგებობები არ დაინგრევა იქამდე, ვიდრე ექსპლუატაციის ვადა არ გაუვა. დემონტაჟი გლობალური კრიზისის ფონზე დიდ ზარალს გამოიწვევს და კიდევ უფრო მეტ პრობლემებს შექმნის. ნგრევა მხოლოდ „ხრუშოვკებს“ შეეხება და დეველოპერები ამ მხრივ წახალისებულები იქნებიან.

ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია გამწვანება — „ქალაქის ფილტვები“. მწვანე საფართან ერთად მოწესრიგდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. სიახლეა ისიც, რომ სავარაუდოდ რამდენიმე წელიწადში რკინიგზას ქალაქგარეთ გაიტანენ და თბილისის ზღვის გავლით დააკავშირებენ ქალაქის ერთ ბოლოს მეორესთან. ქალაქში კი ჩიხური სადგურები დარჩება დიდუბესა და ნავთლუღში, საიდანაც მგზავრები ჩქაროსნული მატარებლით ან ტრამვაით გავლენ ცენტრალური რკინიგზის სადგურისკენ. რკინიგზა შუაქალაქში დაუშვებელია, რადგან საბრძოლო იარაღით და სიცოცხლისთვის საშიში სხვა ნივთიერებებით დატვირთული ვაგონები სწორედ აქ გადიან. ამიტომ ამ გადაწყვეტილებით გამოთავისუფლდება ქალაქი და თან შემცირდება გამონაბოლქვი და ხმაური.

არქიტექტურის სამსახური ჯერ ამით შემოიფარგლა, თუმცა სიახლეები და ცვლილებები კიდევ იგეგმება, რომელიც გენგეგმის მიღების შემდეგ გახმიანდება.

**ნია ფიფია**

**მურად ალაშვილის ფოტო**

პრობლემა

(მეხუთე გვერდიდან)

მორიგ მეცადინეობაზე მე იმათ ხელახლა ვასწავლე, რომ 3/6 უდრის 1/2-ს. რეაქცია ასეთი გახლდათ: „ჰოო? კარგი...“ მე რომ მეთქვა, 3/6 ტოლია 1/10-ისა-მეთქი, რეაგირება ზუსტად ამნაირივე იქნებოდა.

თავად დაფიქრდით, როგორ აუხსნით ბავშვს, თუ რა არის გაყოფა: ალბათ თანაბრად დაიწყებს ექვსი ვაშლის განაწილებას სამ ბიჭუნას შორის? ჰოდა იცოდეთ — ფრანგულ სკოლაში გაყოფის ოპერაცია შემოდის გაყოფის ფორმალური ალგორითმის სახით... საცოდავ მოწაფეებს შარადებს აწვდიან იმ სვეტში უკვე შესრულებული გაყოფის სახით, რომელშიც ზოგიერთი ციფრი გამოტოვებულია და მოითხოვება სწორედ გამოტოვებულთა მოძებნა. ბუნებრივია, ყოველივე ამის მერე რაც არ უნდა გითხრან 3/6-ზე, ყველაფერს დაეთანხმები.

საკმაოდ დიდხანს ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, თუ ცოდნის ასეთი დონით რანაირად მოახერხეს ამ ახალგაზრდებმა ბაკის ჩაბარება, სადაც ამოცანები, როგორც წესი, კაი გვარიან დონეზეა შედგენილი. ახლა ვიცი ამ კითხვის პასუხი. საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად ყველა ამოცანა, ბაკზე შემოთავაზებული, შეიძლება კარგი კალკულატორის დახმარებით ამოიხსნას, მით უფრო, რომ ბაკის ჩაბარებისას კალკულატორით სარგებლობა ოფიციალურადაა ნებადართული. რარა და, სწრაფად და სწორი თანმიმდევრობით ღილაკებზე დაჭერა თანამედროვე ახალგაზრდებს მარჯვედ ეხერხებათ; ეგ კია, რომ შიგადაშიგ შეგეშლება, სიჩქარეში სხვა ღილაკს დააჭერ და მაშინ კონფუზი გამოდის. მაგალითად, ერთმა ჩემმა სტუდენტმა რაღაცას იქ ისე ვერ დააჭირა და პლანეტა დედამიწის რადიუსი 10 მილიმეტრის ტოლი გამოუვიდა. სკოლაში კი, საუბედუროდ, არ ასწავლეს (ან უბრალოდ თვითონ არ დაიმახსოვრა), თუ რა ზომისაა ჩვენი პლანეტა, ამიტომაც მიღებულ 10 მილიმეტრს სრულებით არ შეუცბუნებია.

ჰოდა, ყოველწლიურად მე, როგორც უკანასკნელი აბეზარა, ვცდილობ მოყოლას, თუ საიდან მოდის, როგორი დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას იმ სამყაროსთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ; ვიჭაჭები, რაც ძალა და ღონე მაქვს, ისე მოვუთხრო, რომ საინტერესო იყოს, ისინი კი ისე მიყურებენ, როგორც ბოთეს და მოთმინებით ელიან, თუ ბოლოს და ბოლოს, როდისღა ჩავცხრები და ვაცნობებ, თუ სახელდობრ რა უნდა გაიზეპირონ.

მასწავლებლისგან მკაფიოდ ჩამოყალიბებული მანიპულაციების, მასწავლებლის მითითებების შესრულება — კი ბატონო; რაიმეს შესწავლა, დამახსოვრება — რამდენიც გნებავთ; აი ფიქრზე კი — ბოდიში; ორგანიზმის ეს ფუნქცია მაგათ ვაი, რომ სრულიად ატროფირებული აქვთ.

# „ისმინე, სწავლის მძებნელო!“...



განა შეიძლება ასეთი რამ? საფრანგეთი ხომ მაღალგანვითარებული კულტურული ქვეყანა გახლავთ, ჭკვიანი, განათლებული ადამიანებით სავსე; და საერთოდ, რა შუაშია აქ ერთიანი სახელმწიფო გამოცდა?

ჯერ ერთი, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განათლებაში მთელი ეს კატასტროფა დაიწყო არც ისე დიდი ხნის წინათ და როცა ჭკვიან და განათლებულ ადამიანებზე ლაპარაკობენ, სინამდვილეში ეს საზოგადოების ერთობ თხელი ფენაა და ახლა იქ ჩამატება, უბრალოდ, არ ხდება (უფრო ზუსტად, ხდება ჩინელებისა და ათასნაირი რუსის ხარჯზე). მეორეც, არსებობს სრულებით სხვა თვალსაზრისიც იმაზე, რაც ხდება. ეს არის უკიდურესად ცინიკური შეხედულება თანამედროვე საზოგადოებაზე, რაც ერთმა ჩემმა უნივერსიტეტელმა კოლეგამ ამიხსნა. ის ფიქრობს, რომ თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებას სჭირდება მხოლოდ კარგი შემსრულებლები. შემოქმედებითი, მოფიქრალი ადამიანები, რასაკვირველია, აგრეთვე მოითხოვებიან ოღონდ ოდენ ერთეულები.

ახლა, ვიმედოვნებ, გასაგებია, თუ რა შუაშია ერთიანი სახელმწიფო გამოცდა; როცა ადამიანები, ნაცვლად იმისა, რომ თვითონაც ფიქრობდნენ და თავიანთ შვილებსაც ასწავლიდნენ ფიქრს, ცდილობენ ამ ქვეყნად ყველაფრის მიყვანას ალგორითმებამდე და უაზრო ტესტებამდე — საყოველთაო გამოლენჩება დგება; თუმცა აქ პირველადი რა არის და მეორადი რა, არ ვიცი: სავსებით შესაძლებელია, რომ ყველა ეს ბაკი, ყველა ЕГЭ და სხვა ტესტები არცრაა, თუ არ შედეგი (და სულაც არა მიზეზი) საერთო, ვთქვათ ასე, „აზროვნების რადიკალური გამარტივებისა“ განვითარებულ საზოგადოებაში. მე რომ მკითხოთ, სჯობს კორუფცია იყოს, ვიდრე შემსრულებელი იდიოტი რობოტების კრისტალურად პატიოსანი საზოგადოება. ეგეც კია, დიდი ეჭვები მაქვს, რომ ამ მხრივ რუსეთს არაფერი განსაკუთრებით სერიოზული არ ემუქრება. ჩვენთან ხშირად ჩაფლავდებიან და ჩაკვდებიან ხოლმე არა მარტო სასიკეთო წამოწყებანი, არამედ, საბედნიეროდ, იდიოტურნიც“.

ამ ჭკვიანი კაცის (ვიქტორ დოცენკოს) ვრცელ გონივრულ ნააზრევსაც გამოხმაურებიან რუსი მკითხველები. ერთმა „ყოჩაღ, პროფესორო“, შემოუთვალა; მეორემ: „დიახ, უკეთესად ვერც იტყვი! აქ მოსატანია, რომ ფურსენკომ ახალგაზრდობის წინაშე სელიგერის ტბასთან ბანაკში სწორედ ეს ილაპარაკა — ტალანტები არ გვჭირდება, ჩვენ კარგი შემსრულებლები გვინდაო“. მესამემ — „ბატონო პროფესორო, ნუ გეგონებათ, თითქოს ფურსენკოს გონებით ვერ გაუგებ, ვინც ბრძანდება, დიდი ხანია ყველა მიხვდა. გონებით მთავრობის ხელმძღვანელებს ვერ გაუგებ, რომლებსაც ის მინისტრები უყვართ, ლამის მთელი საზოგადოება რომ ამხედრებიაო“.

რას იტყვი, პატივცემულო მკითხველო, ბევრი რამ მთელი ზემოთ მონათხრობიდან ხომ არის „რძლის“ ანუ ჩვენი გასაგონიც, ხომ „მოერგება“, გადმოდის ჩვენი ამჟამინდელი განათლების სისტემაში შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე, რაშიც ამოდენა „დამსახურება“ აქვს თავისუფლების ინსტიტუტსა და იმის „დიპლომიან“ გამოშვებულებს, ექს-მინისტრს კახა ლომაიას, იმის „თანამოაზრეებს“ და სხვა ყოჩაღ რეფორმატორებს? (ბატონი კახას „უკანამორბედების“ შეფასებისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ...ძ.

ეგებ გამოგვეხმაუროთ, ეგებ გავმართოთ პატარა ერთჯერადი დისკუსია ჩვენს „რეფორმირებულ“ სკოლებში დაყენებული სწავლა-სწავლების, ქართული ეეგ-ის თანმდევი ტესტებისა თუ ქულების გარშემო?...

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძე**

ინფორმაცია

## გაათავისუფლეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებულები

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ე. წ. სამართალდამცავებმა ახალგორში მცხოვრები გივი ჩიგოევი და თამარ ჩაროევა გაათავისუფლეს, რომლებიც სამშობლოს ღალატის ბრალდებით იყვნენ დაკავებულნი.

როგორც ახალგორის რაიონის გამგებელმა ავთანდილ ყოჩიშვილმა განაცხადა, ჩიგოევი და ჩაროევა საკუთარ სახლებში იმყოფებიან და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა 4 მარტს ახალგორის მე-3 საშუალო სკოლის საბჭოს თავმჯდომარე გივი ვლადიმერის ძე ჩიგოევი დააკავა. მათ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ „სამშობლოს ღალატში“ დასდო ბრალი.

## რათა გამოუცდელი მოსამართლეები არ გვყავდეს

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მოსამართლეთა მინიმალური ზღვარის 30 წლამდე აწევას ითხოვს.

როგორც ბაღათურიამ განაცხადა, მისი პოლიტიკური გუნდის მიზანია, ეს ასაკი ზოგადად 35 წლამდე ავიდეს, მაგრამ კადრების დეფიციტის შექმნის თავიდან აცილების მიზნით, ამ ეტაპზე 30 წელზე შეთანხმდნენ.

„ჩვენ უკვე ვნახეთ გამოუცდელი ადამიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგი“, — განაცხადა ბაღათურიამ.

მოსამართლეთა მინიმალური ასაკის აწევის აუცილებლობაზე საუბრობენ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც“.

ინტერპრესნიუსი

კავშირგაბმულობა

# ზოგს ისევ დაასაქმებენ, ზოგსაც ახალი სამსახურის ძებნა მოუწევს

**უკვე სამი თვეა ქვეყნის ყველაზე მსხვილი სატელეკომუნიკაციო ოპერატორის „გაერთიანებული ტელეკომის“ აბონენტები ყველა ტიპის ინფორმაციისა და დახმარების მისაღებად ფირმის ცხელ ხაზზე (100 - 100) რეკავენ.**

საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე წლის იანვრამდე „გაერთიანებული ტელეკომი“ ერთდროულად ორ ცხელ ხაზს ამუშავებდა: ერთი იყო „07“ (შეკვეთით კავშირი), მეორე კი „900“ (საინფორმაციო ცენტრი). წლის დამდეგიდან კი ეს ორი სერვისი ერთიან მომსახურებად ჩამოაყალიბეს.

უნდა ითქვას, რომ მოდერნიზებული ცხელი ხაზის ამოქმედებამდე, კომპანიამ შესაბამისი ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოები ჩაატარა: მოძველებული კომუტატორების ნაცვლად თბილისსა და რეგიონებში ახალი ტექნოლოგიები დაინერგა, ამოქმედდა მაღალი დონის კომპლექსური, მრავალმოდულიანი ბილინგის სისტემა, რამაც მომსახურე პერსონალის უფრო მაღალი დონის კვალიფიკაცია მოითხოვა, რის გამოც სამსახურიდან რამდენიმე ათეული თანამშრომელი გაათავისუფლეს.

მაღალი ხარისხის სერვისი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ იმ ხალხისთვის უსამსახუროდ დარჩენა როგორი საქმეა ამ გაგანია უმუშევრობაში, რომელიც ქვეყანაში სუფევს? სწორედ ამის გარკვევა გვაინტერესებდა, როცა „გაერთიანებული ტელეკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მივაკითხეთ და აი, რა შევიტყვეთ.

მიმდინარე წლის მარტის მიწურულს, **ყველა ზემოთ მითითებული სერვისიდან (კერძოდ, „07“-დან და „900“-დან) დათხოვნილ თანამშრომელს მიეცემა სასწავლო კურსის გავლის, ხოლო შემდგომ სამსახურის მოსაპოვებლად სათანადო ტესტირებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. კომპანიაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსისა და ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, „გაერთიანებული ტელეკომიდან“ დათხოვნილი თანამშრომლები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან.** ხოლო თანამშრომელთა იმ ნაწილს, ვისაც კომპანიასთან უვადო შრომითი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, შრომის ანაზღაურების კომპენსაცია მიეცა ორი თვის ხელფასის ოდენობით.

— თანამშრომლების რიცხვი კომპანიაში, ძირითადად, 2007 წელს შემცირდა, თუმცა ამას „კადრების შემცირებას“ კი არა, „ოპტიმიზაციას“ უფრო დავარქმევდი, — აღნიშნა „გაერთიანებული ტელეკომის“ გენერალურმა დირექტორმა ადილხან ტამირბეკოვმა. — იმის გამო, რომ კომპანიაში სრულიად განსხვავებულ, მაღალი დონის ტექნოლოგიებს ვნერგავთ, მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები გვჭირდება. ტექნიკური გადაიარაღების ამ ეტაპზე ჩვენთან თანამშრომელთა რიცხოვნობის შემცირება მოსალოდნელი აღარ არის.

გარდა ამისა, სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა აქცია „სახლის ტელეფონი 100 ლარად“, რომლის დროს მომხმარებელს უკაბელო ქსელში ჩართული აპარატის შეძენა შეეძლო კომპანიის სერვის-ცენტრებში, ასევე მაღაზიათა ქსელ „მობიში“.



„გაერთიანებული ტელეკომის“ პრესსამსახურის განცხადებით, აქციის მიმდინარეობისას, კომპანიის ამ სერვისის მომხმარებელი 40 ათასი აბონენტი გახდა. სადღეისოდ, როგორც აღვნიშნეთ, აქცია დასრულდა, თუმცა კომპანიაში მიიღეს გადაწყვეტილება **მარტის პირველი ნახევრიდან CDMA ტელეფონ-ტერმინალის ტარიფი პოტენციური აბონენტებისთვის კვლავაც ხელმისაწვდომი ყოფილიყო და მისი ტარიფი 120 ლარით განსაზღვრეს.**

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები ასევე შეეხო CDMA ტელეფონ-ტერმინალების რეგიონებში ინტერნეტ-ქსელში ერთჯერადი ინსტალაციის ტარიფსაც: **უკაბელო სატელეფონო ქსელის აბონენტებისთვის აქამდე დაწესებული 30 ლარის ნაცვლად, ინსტალაციის საფასური ერთჯერადად 20 ლარამდე შემცირდა.** ხოლო რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქში ტარიფი უცვლელი დარჩა და კვლავაც 30 ლარია. ასევე არ შეცვლილა ინტერნეტ-სერვისის საფასურიც — იგი წუთში ისევ ერთი თეთრი ღირს. ამჟამად ამ ტექნოლოგიის ინტერნეტით „გაერთიანებული ტელეკომის“ 4100 აბონენტი სარგებლობს, ძირითადად რეგიონებში. საგულისხმოა, რომ ინტერნეტ-სერვისის ინსტალაციისას, კომპანიის თანამშრომელთათვის ბონუს-სისტემა მოქმედებს, რომლის ოდენობა თითო ჩართულ აბონენტზე ხუთი ლარია.

**ოთარ აბრამია**

მოსაზრება

# რას ნიშნავს სიტყვები – „წილნაყარია ღმერთთან?“

## ორიოდე სიტყვა საქართველოს ჰიმნის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ავტორია პოეტი დავით მაღრაძე, რომელმაც ასევე გამოიყენა აკაკის, გრიგოლ ორბელიანის და გალაკტიონის ციტატები. აი ჰიმნის ტექსტი:

**ჩემი ხატია სამშობლო,**
**სახატე მთელი ქვეყანა,**
**განათებული მთა-ბარი,**
**წილნაყარია ღმერთთანა.**
**თავისუფლება დღეს ჩვენი**
**მომავალს უმღერს დიდებას,**
**ცისკრის ვარსკვლავი ამოდის**
**და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,**
**დიდება თავისუფლებას,**
**თავისუფლებას დიდება!**

განვიხილოთ ეს ტექსტი მართლმადიდებლობის თვალსაზრისით, ვთქვათ, მეტაფიზიკურად. მართლმადიდებლობის თვალსაზრისით განხილვის უფლება იმიტომ გვაქვს, რომ საქართველოს კონსიტუტუციურ სისტემაში არაპირდაპირ დაფიქსირებულია მართლმადიდებლობის განსაკუთრებული სტატუსი, ამავე დროს, საქართველოს სახელმწიფო დროშა შეიცავს ქრისტიანულ ელემენტებს.

ამ თვალსაზრისით საკვანძოა მესამე და მეოთხე სტრიქონები:

**განათებული მთა-ბარი,**
**წილნაყარია ღმერთთანა.**

რას ნიშნავს სიტყვები – „წილნაყარია ღმერთთანა“? ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვეუბნება, რომ ეს ნიშნავს „თანაზარია ღმერთთან“.

თავის დროზე, როდესაც ჰიმნის ტექსტს ღებულობდნენ, გამოითქვა, როგორც გვახსოვს, გარკვეული კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ ისინი ძირითადად საკმაოდ გულუბრყვილო ხასიათს ატარებდნენ. მაგალითად, **„როგორ შეიძლება მთა-ბარი იყოს ღმერთის თანაზარი?“** და ა.შ.

სინამდვილეში ამ სტრიქონებში სრულიად ცხადად ჩადებულია მეტაფიზიკური მიდგომა, რომელსაც ხანდახან უწოდებენ ე.წ. მანიფესტაციონიზმს. ეს ფილოსოფიური ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვებიდან „manifestatia“, „manifestare“, რაც ნიშნავს „გამჟღავნებას“, „გამოვლენას“.

მანიფესტაციონიზმის არსი ის არის, რომ ეს მიდგომა განიხილავს სამყაროს შექმნას ღვთისგან, როგორც ღმერთის სხვადასხვა ასპექტის, პირველსაწყისის, პრინციპის თანდათანობით გამოვლენას, გამოააშკარავებას. შეიძლება ასეც ვთქვათ: მანიფესტაციონიზმი განიხილავს სამყაროს, როგორც ღმერთის გაგრძელებას, მისი დაფარული თვისებების თანდათან გაშლას ხილულ სამყაროში.

რადგან სამყარო დაფარულის გაცხადებაა, ღმერთი ააშკარავებს საკუთარ თავს ყოველ არსებულ ნივთში. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი ნივთი, არსება, მოვლენა სამყაროსი შეიცავს თავის თავში ტრანსცენდენტული პირველსაწყისის პირდაპირ ყოფნას. ცხადი რეალობა და ღმერთი ერთსუბსტანციურია ამ ფუნდამენტური მიდგომის მიხედვით.

სწორედ ეს იგულისხმება სიტყვებში: განათებული მთა-ბარი (ანუ ხილული სამყარო, იმანენტური რეალობა) წილნაყარია „თანაზარია“, ერთსუბსტანციურია) ღმერთთანა (ღმერთის).

მანიფესტაციონიზმი დამახასიათებელია სხვადასხვა ხალხების მეტაფიზიკური სისტემებისთვის, მაგალითად, ინდოეთში (ადვაიტა-ვედანტა და სხვა), ძველ საბერძნეთში და ა.შ.

ქრისტიანობის თვალსაზრისით ეს არის „წარმართული“ მიდგომა, რადგან ქრისტიანობა ოფიციალურად ეყრდნობა მეორე, განსხვავებულ მეტაფიზიკურ პრინციპს, რასაც უწოდებენ კრეაციონიზმს.

კრეაციონიზმის მიხედვით სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ „არაფრისგან“, როგორც ერთჯერადი აქტი (creatio ex nihilo). ამ მიდგომის მიხედვით, შექმნილი ანუ სამყარო რადიკალურად განსხვავდება შემქმნელისგან, ანუ ღმერთისგან. მათ შორის არსებობს გადაულახავი „ბარიერი“ და ისინი სუბსტანციურად სრულიად განსხვავებული არიან.

ქრისტიანობის გარდა კრეაციონისტული თვალსაზრისი მიღებულია ოფიციალურ იუდაიზმში და ისლამში. ამ რელიგიებს ხანდახან უწოდებენ „აბრაამულ“ რელიგიებს.

მართალია, ქრისტიანობაში, პირველ ყოვლისა კი მართლმადიდებლობაში, თანმიმდევრული კრეაციონისტული ხაზი ერთგვარად „დაძლეულია“ ან, უფრო სწორად, პარადოქსულად შერწყმულია „მანიფესტაციონიზმთან“ წმინდა სამების მეორე წევრის, ძის მიერ ადამიანის სხეულის მიღების და ხილულ სამყაროში სრულფასოვნად, სრულიად ადამიანური სახით გამოჩენის გამო, მაგრამ ამ საკითხს აქ არ შევეხებით.

ამ განმარტებების შემდეგ დავუბრუნდეთ ჰიმნის ტექსტს. ზემოთ ნახსენები ორი მნიშვნელოვანი სტრიქონის ამგვარ გააზრებაზე დაყრდნობით, განვიხილოთ ის მთლიანობაში. ჩვენი აზრით, აშკარა ხდება, რომ მართლმადიდებლური და საერთოდ, ზოგადქრისტიანული მიდგომა, როგორც ჩანს, გამოირიცხება და გვაქვს სრულიად სხვა რამ.

ღმერთი, როგორც ვხედავთ, ნახსენებია მხოლოდ ერთხელ და ისიც იმ წინადადებაში, სადაც მანიფესტაციონისტური აზრით მას „უთანაზრდება“ ხილული სამყარო („მთა-ბარი“). გარდა ამისა, ფიგურირებს ცისკრის ვარსკვლავი. ცნობილია, რომ ცისკრის ვარსკვლავი არის ლუციფერის, დაცემული ანგელოსის სიმბოლო. იმავე სტროფში, სადაც არის ცისკრის ვარსკვლავი (ლუციფერი), ნახსენებია თავისუფლება. ქრისტიანულ მეტაფიზიკაში ცნობილია, რომ ლუციფერმა აირჩია დაცემა, ანუ აღიარა თავისი თავი არა „ღვთის მონად“, შექმნილად, არამედ „ღვთის შვილად“. (სხვათა შორის, ეს სწორედ „მანიფესტაციონისტური“ ქმედებაა, ამიტომაც მიუღებელი კრეაციონისტული პრინციპის მიხედვით ისჯება). ამ თვალსაზრისით, ლუციფერი და მისი მომხრე ანგელოსები ამჟღავნებენ თავისუფლებას, კერძოდ, არჩევანის თავისუფლებას.

იგივე აზრს ეხმიანება სიტყვა „განათებული“. ცნობილია, რომ ლუციფერი არის სინათლის ანგელოსი.

თუმცა, აქ არის ერთი მომენტი, რომ იოანეს გამოცხადებაშიც ნახსენებია ცისკრის ვარსკვლავი, როდესაც იესო ქრისტე ამბობს, ის არის „ძირი და ნათესავი დავითისი, ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა (გამოცხ. 22:16)“, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ჰიმნის ტექსტში ამგვარი ესქატოლოგიური, აპოკალიფსური დატვირთვა იყოს გატარებული“.

უძველეს წინაქრისტიანულ ტრადიციაში, რასაც „წარმართობად“ მოიხსენიებენ ხოლმე, იგივე ლუციფერი, ან შემდგომ „სატანისტურად“ მონათლული გამოვლინებანი არ აღიქმებოდნენ ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად, არამედ როგორც უმაღლესი პრინციპის „ჩრდილოვანი“ მხარე, მაგრამ ქრისტიანულ ტრადიციაში ლუციფერის ნეგატიური წარმოდგენა ძირითადად დომინირებს. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა ავტორს.

ზუსტად იგივე კონტექსტში ჯდება აკაკი წერეთლის ლექსიდან ამოღებული სტრიქონები „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა.“ მიუხედავად ავტორის განცხადებისა, რომ აქ „ვაჟასეული“ პატრიოტიზმი იგულისხმება, ლექსის მთლიან კონტექსტში ეს სტრიქონები ინტერპრეტირდება, როგორც სეკულარიზაციის გამოხატულება, ღმერთის მთლიანად ჩამოცილება სამყაროსადმი (ხატი გადადის „საერო“ ცნებაში – სამშობლოში, ხოლო სახატე, ანუ ფაქტობრივად ის, რისი ნაწილიც არის ხატი – არის მთელი ქვეყანა, ანუ მსოფლიო. და არა ღმერთი.) ჩვენი აზრით, აქ აშკარად აისახება მოდერნის ეპოქის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პროგრამა, რომელსაც უკვე მთლიანად მოცილებული აქვს ღმერთის იდეა.

სეკულარიზაციის პროგრამა, თავის მხრივ, ნაწარმოებში ეხმიანება ლუციფერის და თავისუფლების იდეას. მთლიანობაში ეს კომპონენტები ასახავენ ამ ტექსტში კარგად ცნობილ მოდერნის პარადიგმას, რომლის პროდუქტია თანამედროვე ევროპა, ძირითადად აწ უკვე ათეისტური. სწორედ ე.წ. ევროპული, მოდერნის პარადიგმის ფასეულობების გაზიარებაზე აკეთებდა აქცენტს ამჟამინდელი ხელისუფლება და კერძოდ, სააკაშვილი, ბოკერია და სხვა მსგავსი პერსონაჟები, თავიანთ მრავალრიცხოვან განცხადებებში „საერთო ფასეულობების“ (Salve values) შესახებ. ეს ფასეულობები, როგორც ვნახეთ, გამოიხატა სახელმწიფო ჰიმნის ტექსტშიც. როგორც ჰიმნის ავტორის, ბატონი დათო მაღრაძის ყველაზე ცნობილი პოემის სათაური გვეუბნება, Salve ანუ ლათინურად, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. ვისი მობრძანება? ამის მიხვედრა მკითხველისთვის მიგვინდია.

**გიორგი ვეკუა**

caucasia-experts
პოლიტიკური ჟურნალი

წყალში გამარჯვებული

# ადამიანი – დელფინი

**მტკვარზე გაზრდილმა პლეხანოველმა ბიჭმა 21 წლის ასაკში მოსკოვში, სმოლენსკის მოედანზე მიიღო ბინა, პრესტიჟულ სახლში, სადაც ცხოვრობდნენ შინაგან საქმეთა და უშიშროების თანამშრომლები, მათ შორის რუსეთისთვის და, კერძოდ, მოსკოვისთვის კერპად ქცეული ლეგენდარული ფეხბურთელი სერგეი სალნიკოვი (სალა). ეს ის დროა, როდესაც ვლადიმერ ვისოცკის თავის ცნობილ სიმღერაში ერთი ასეთი ფრაზაც ჰქონდა: – „На тридцать комнат одна уборная“. ეს ის დროა, როდესაც მოსკოვის საცხოვრებელი ბინების კარზე მიმაგრებული ზარის ღილაკები აკორდეონის კლავიშებს მოგაგონებდა.**

ჰოდა, მოსკოვის ცენტრში, ოროთახიან იზოლირებულ ბინაში (მიწისქვეშა გარაჟით) ცხოვრობდა ერთი ქართველი ბიჭი – პეტრე (კაკო) მშვენიერაძე. ვინ იყო იგი და რა დამსახურება ჰქონდა მას, როგორც სპორტსმენს? ამჯერად ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ. მოვიშველიებ მხოლოდ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ სათაურებს დაკრძალვის დღესთან დაკავშირებული სტატიებიდან: **„პეტრე (კაკო) მშვენიერაძე იყო წყალბურთის დიდი პეტრე პირველი და წყალბურთის პელე“**. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, კაკოს შეეძლო იმდენი ბურთი გაეტანა მოწინააღმდეგის კარში, რამდენიც საჭირო იყო მოგებისთვის. უპირატესობა გამოიხატებოდა წყლიდან ზეადამიანური, დელფინისებრი ამოვარდნით. მსოფლიოში სპორტის ამ სახეობაში უძლიერესნი იყვნენ უნგრელები. ბუდაპეშტში გამოიცა წიგნი წყალბურთზე. გარეკანს პეტრე მშვენიერაძის ფოტო ამშვენებდა წარწერით: **„მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა რისხვა“**. საილუსტრაციოდ საკმარისია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: იმ დროისთვის საჰაერო ძალების სარდალი გახლდათ ვასილი სტალინი, რომელმაც, მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით, მოიტაცა პეტრე მშვენიერაძე და „ვვს“-ის გუნდს ჩაუყენა სათავეში. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შინაგან საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე აბაკუმოვი და ვასილი სტალინი. საბოლოოდ თვით კაკომ გადაწყვიტა თავისი ბედი. უცვლელი კაპიტანი დაუბრუნდა მოსკოვის „დინამოს“. ვასილი სტალინმა თვითნებობისთვის იგი სასამართლოს გადასცა. ისტორიული ფაქტი ფაქტად დარჩა. **იმ დროს, როდესაც იოსებ სტალინი ცოცხალი იყო, ვასილი სტალინმა სასამართლო წააგო.** სასამართლოს



დარბაზიდან ვასილი სტალინმა კაკო თავის ბინაში დაპატიჟა. ავტომანქანიდან დარეკა, რათა ვახშამი მოემზადებინათ და კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ ორივე სერია მიეტანათ. იმ დღეს თბილისიდან სტუმრად ჩავიდა კაკოს დედა ნადეჟდა. შვილს დედის ნახვა უნდოდა და სახლში წასვლა ეჩქარებოდა. გაიგო რა ვასილმა კაკოს წუხილი, მაშინვე შესთავაზა, დაერეკა დედისთვის და ეთქვა, რომ ვასილი სტალინთან იმყოფება. კაკომ უპასუხა, რომ მას ბინაზე ტელეფონი არ ჰქონდა. მაშინ ბინის ტელეფონი ხომ ფუფუნება იყო. ვასილმა იმწამსვე აიღო ყურმილი და თავის ადიუტანტს უბრძანა: – „სარქისოვ! ახლავე დაუდგით მშვენიერაძეს ტელეფონი ბინაზე და მომახსენეთ“. რამდენიმე საათის შემდეგ გაკვირვებული ნადეჟდას აღელვებული ხმა ისმოდა ყურმილში.

გარდა ძლიერი ფიზიკური მონაცემებისა, კაკოს მეტად გამჭრიახი გონება, შორსმჭვრეტელობა და საოცარი იღბალი ჰქონდა. მასთან დანიძლავება წაგების ტოლფასი იყო. ასეთი რამ, რასაც ახლა მოგიყვებით, ალბათ, ზღაპარში თუ ხდება მხოლოდ, რეალობაში კი წარმოუდგენელია: თბილისში ჩამოსული კაკო კამოს ქუჩაზე, მშობლიურ სახლში ჩერდებოდა. მეგობრების თავმოყრის ადგილი სწორედ აქ, ლუდის ქარხნის ეზო იყო. ვერთობოდით, ვთამაშობდით ნარდს, ჭადრაკს, ლუდს ვსვამდით და ხანდახან ოთხ კამათელსაც ვაგორებდით – ვინც ნაკლებს გააგორებდა, თამაშიდან გადიოდა. 12 ბიჭმა სალაროში ჩავდეთ 1200 მანეთი. ათნი გავვარდით თამაშიდან. დარჩა ორი, კაკო და მამია. მამია სიხარულიძემ გააგორა ორი შაში და ორი ბეში. კაკო ეუბნება მამიას: – „მამია, მომე ჩემი ასი მანეთი და კამათელს არ გავაგორებ“. მამია იცინის, იღებს 1200 მანეთს და ჯიბეში იდებს. მდგომარეობა იძაბება. ხმაურზე გამოდის ქალბატონი ნადეჟდა. კითხულობს: – რა ამბავია, რა ხდება? კაკო განმეორებით მიმართავს მამიას, თან კამათლებს ხელში ათამაშებს: – „მამია, ხომ იცი, დედაჩემი როგორი მორწმუნეა, ღმერთია ჩვენი მფარველი“. ამ სიტყვების დამთავრებისთანავე კაკომ კამათლები აყარა. ღრიალმა შეძრა იქაურობა. სამი შაში და ერთი ბეში იჯდა დაფაზე.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში რამდენჯერმე ნამყოფ კაკო მშვენიერაძეს მხოლოდ თბილისი და შავი ზღვა იზიდავდა. ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, საკანდიდატო დისერტაცია კი მოსკოვში დაიცვა.

იხ. 16 გვ.

გზად მომავლისკენ

*საქართველოში გაჩაღდა ისტერია და აჟიოტაჟი 12 მარტს ქ.ვენაში გამართული „მრგვალი მაგიდის“ „საქართველო — თანამედროვეობა და მომავალი“ გარშემო. იგი გაიმართა „ავსტრიის თავისუფალი აკადემიის“ (რელიგიისა და პოლიტიკის სტრატეგიული კვლევები თანამედროვე მსოფლიოში) ინიციატივით. მას მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ „ავსტრიის თავისუფლების პარტია“, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერია და რომელსაც სათავეში უდგას ჰაინც-ქრისტიან შტრახე და ახლახან შექმნილი და ავსტრიაში დარეგისტრირებული „საქართველოს ეროვნებათა მსოფლიო კონგრესი“. კონგრესზე მოწვეული იყვნენ როგორც ცნობილი მეცნიერები, პოლიტოლოგები და საქართველოს მთელი რიგი პარტიების ხელმძღვანელები, ისე უცხოეთის ქართული დიასპორების წარმომადგენლები.*

*მასალა ვენიდან მოგვაწოდა „რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტმა, ღირსების ორდენოსანმა, პროფესორმა* **ვლადიმერ ხომერიკმა.**

# ვენის კონგრესი ქართულად

მიუხედავად აშკარა ისტერიისა, საქართველოს წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა იარლიყების მიწებებისა და დიდი წინააღმდეგობებისა, ფორუმზე ჩამოვიდა 12 მონაწილე 15 მოწვეულიდან. ყველა მათგანი გამოვიდა ობიექტურად და თანაბარზომიერად. ისინი საუბრობდნენ როგორც დღევანდელ სიტუაციაზე, ისე საქართველოს შემდგომი განვითარების თავიანთ ხედვებზე.

ფორუმის ყველა მონაწილე ხაზგასმით აღნიშნავდა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სასწრაფო შეცვლის აუცილებლობას, კომპლექსურ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით, ნეიტრალური სტატუსის უპირატესობას ქვეყნისთვის და მრავალვექტორიანი პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანიცაა თავად საქართველოს და მთელი ქართველი ხალხის ინტერესები.

ავსტრიის თავისუფლების აკადემიის მაგისტრის ქ.კაზასის გამოსვლაში აღნიშნული იყო ავსტრიის ნეიტრალური სტატუსის მთელი უპირატესობანი, სურვილი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და საქართველოს იმ ოპოზიციური ძალების მხარდაჭერისა, რომელთა მიზანია ქვეყნის ნაციონალური განვითარება და ტოტალიტარიზმის შეცვლა.

ანალოგიური და უფრო მკაცრიც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მისამართით იყო ავსტრიის პარლამენტის უმრავლესობისა და „ავსტრიის თავისუფლების პარტიის“ ლიდერის ჰანც-ქრისტიან შტრახეს გამოსვლა, რომელიც დაჰპირდა მხარდაჭერას და რეალურ თანამშრომლობას როგორც საქართველოს ეროვნებათა ახალ კონგრესს, ისე საქართველოს პატრიოტულად განწყობილ ორგანიზაციებს.

ფორუმზე განსაკუთრებით მრავალმხრივად და მიზანდასახულად გამოვიდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც ევროპარლამენტის წევრთან ბარბარა კაპელთან ერთად შესანიშნავად მიჰყავდა „მრგვალი მაგიდა“, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, საქართველოს მრეწველთა პარტიის თანათავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, ჰოლდინგ „ჯორჯიან ტაიმსის“ მფლობელი მალხაზ გულაშვილი, „ქართული აკადემიის“ წევრი, ნუკრი ქანთარია, ჟურნალისტი ლალი მოროშკინა, ცნობილი რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი და სხვები.

გლობალური და შეიძლება დამარწმუნებელი ვუწოდოთ საქართველოს ეროვნებათა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის, ისტორიკოსისა და ცნობილი ბიზნესმენის ალექსანდრე ებრალიძის გამოსვლას, რომელმაც სიტუაციისა და საქართველოს განვითარების პერსპექტივების ღრმა ანალიზის გარდა, კონგრესს წარუდგინა და წაიკითხა მიმართვა.

ა.ებრალიძემ საკუთარი სახსრებიდან დაასპონსორა ეს ღონისძიება და მისი განცხადებით იგი მზად არის გაუწიოს სპონსორობა და ორგანიზაციული დახმარება საქართველოს პროგრესულ ძალებს, ვისი საქმიანობაც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.




ფორუმზე გამოვიდა პროფესორი ვლადიმერ ხომერიკი, რომლის გამოსვლაც პრაქტიკულად წარმოადგენს ფორუმის მონაწილეთა კონსოლიდირებულ აზრს და მომხდარის ობიექტურად კონცენტრირებულ არსს.

ვლადიმერ ხომერიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს აქ შეიკრიბნენ საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, რომლებიც შეშფოთებული არიან თავიანთი სამშობლოს დღევანდელი მძიმე სიტუაციითა და მომავლით. მათ, მიუხედავად თავდასხმისა და ხელაღებითი იარლიყების მიკვრისა, გამონახეს თავიანთ თავში მამაცობა და დღეს თავიანთ ძალისხმევას ახმარენ და ეძებენ უფრო ეფექტიან და მისაღებ გზებს საქართველოსთვის, რათა გამოვიდეს იგი კატასტროფიდან, გამოიძებნოს მისი შემდგომი განვითარების მოდელი. მან აღნიშნა, რომ მ.სააკაშვილმა შეასრულა თავისი მეპატრონეების მიერ დასახული პროგრამა, დაანგრია ქვეყნის ეკონომიკა და დაკარგა მისი ტერიტორიის მეხუთედი ნაწილი, ჩააგდო იგი შიშში, სიღარიბესა და სირცხვილში, გალანძღა ქართულ კულტურა და სულიერება, ჩვენი ხალხი წაჰკიდა მოძმე და მართლმადიდებელ რუსეთს, საქართველო დააყენა რთული დაშლის, დეგრადაციისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ზღვარზე, ართმევს მის ხალხსა და ქვეყანას მომავალს.

დღეს საქართველოს სჭირდება არალეგიტიმური და ანტიქართული ხელისუფლების შეცვლა, შეცვლა პრეზიდენტისა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა 2008 წლის 5 იანვარს არჩევნების უხეში ფალსიფიკაციის გზით, ისევე, როგორც ერთპარტიულ-გამყიდველი პარლამენტი, რომელიც აგრეთვე არჩეული იქნა 2008 წლის 21 მაისის არჩევნების ფალსიფიკაციის გზით და რომელიც ვერ გამოხატავს ქართველი ხალხის ინტერესებს. საქართველოს სჭირდება პროქართული პოლიტიკოსები და ხელისუფლება, რომლებიც მოემსახურებიან მთელი ქვეყნისა და მისი მრავალრიცხოვანი ხალხების ინტერესებს და არა ამერიკისას, რომლის სამსახურის შედეგებსაც ჩვენ დღეს უკეთ ვხედავთ, ვიდრე ოდესმე.

საქართველოს სჭირდება რეალური დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, რაც მას შეიძლება მოუტანოს ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსმა. საქართველო აღარ იქნება განხეთქილების ვაშლი და ასეთი სტატუსი მიანიჭებს მას გარანტიებს, გადააქცევს მის ეკონომიკას ყველასათვის მიმზიდველად, საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და გამოვიყენოთ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ეს უპირატესობანი ჩვენ დღეს მოვისმინეთ და მას ვხედავთ ავსტრიისა და სხვა ნეიტრალური სახელმწიფოების მაგალითზე.

საქართველოს სჭირდება ბლოკებსგარეშე და მრავალვექტორიანი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ თანამშრომლობაზე ყველა ქვეყანასთან და მიზნად ექნება დასახული საქართველოს და მასში მცხოვრები ხალხების ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა.

პრეზიდენტობის ინსტიტუტმა საქართველოში ვერ გაამართლა და სწრაფად მიექანება ავტორიტარიზმისკენ, რაც მიუღებელია ქართველი ხალხის მენტალიტეტისთვის, სადაც თითოეულს თავისი თავი წარმოუდგენია პერსონად, მზად რომ არის პრეზიდენტობისთვის. ამასთან დაკავშირებით საქართველოსთვის ყველაზე მისაღებია, ჩვენი აზრით, საპარლამენტო მმართველობა და შემდეგ, მომზადების კვალობაზე, კონსტიტუციური მონარქია, რომელსაც საფუძველს დღეს უყრის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.

საქართველოსთვის ძირითად ვექტორულ ორიენტირებად ჩვენ მიგვაჩნია:

**— დღევანდელი ანტიხალხური რეჟიმის სასწრაფო შეცვლა;**

**— ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული სიტუაციების სტაბილიზაცია;**

**— საყოველთაო და ყოველმხრივი საქმიანობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის (ნებაყოფლობით საფუძველზე, მოლაპარაკებისა და მოლაპარაკებათა ახალი მექანიზმის შექმნის გზით გარანტიებისა და ეკონომიკური მიმზიდველობის მისაღწევად);**

**— რუსეთთან კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობის უსწრაფესი აღდგენა (რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო საქართველოს გარანტი და მფარველი და ურომლისოდაც პრაქტიკულად შეუძლებელია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა საქართველოში);**

**— ქვეყნისა და სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული განვითარება და ხარისხობრივად ახალი ინტეგრაცია მსოფლიო და ევროპის გაერთიანებაში.**

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიტყვები: „...სანამ მზე ამოვიდოდეს, ადამიანი მეზობელს ხედავს. ეს უწინარეს ყოვლისა ეკუთვნის საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, ხალხებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ მეგობრობასა და კეთილმეზობლობაში. ეს უნდა გაგრძელდეს ამჟამადაც.

ამაშია ჩვენი მართლმადიდებელი ხალხების წარმატება და კეთილდღეობა...“

და კიდევ რას უნდა მივაქციოთ ყველაზე სერიოზული ყურადღება: ეს არის, როგორც გამსახურდიამ აღნიშნა, ისეთი ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობა, როგორიცაა საქართველოს ეროვნებათა კონგრესი და უცხოეთში, პირველ რიგში კი რუსეთში, ქართულ დიასპორებში პროქართული ლობის ჩამოყალიბება.

ჩვენთვის პირველ რიგში საწყენია და გაუგებარი, რატომ ხდება ასეთი დიდი ორგანიზაციული, ინტელექტუალური და საფინანსო პოტენციალის უგულებელყოფა?

დიასპორებს აქვთ ლობირებისა და სახალხო დიპლომატიის განხორციელების უზარმაზარი შესაძლებლობა. გასაგებია, თავისი ანტიქართული პოლიტიკის გათვალისწინებით, სააკაშვილს ესმის, რომ დიასპორები მას მხარს არ დაუჭერენ და, მით უმეტეს, ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი რუსეთის დიასპორა. ამიტომ მისი რეჟიმისთვის ხელსაყრელია უცხოური დიასპორების დისკრედიტაცია და მათთან კონტაქტების დაუშვებლობა ოპოზიციის მხრიდან. მ. სააკაშვილი თავად ინტელიგენციასაც შეურაცხყოფს და ამცირებს, ხოლო ყველას, ვინც საქართველოს ნეიტრალიტეტზე საუბრობს, იგი სულელებს და მტრებს უძახის.

მაგრამ, თუ ეს აბსურდი შეიძლება მივაწეროთ მიშიკოს გამცემლობასა და ავადმყოფურ ფსიქიკას, მაშინ ამასთან ერთად ჩვენთვის გაუგებარია ქართული ოპოზიციის პოზიცია, რომელსაც, მისი ზემოქმედებითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჭორებით, ასევე ეშინია დიასპორებთან კონტაქტებისა და არ იყენებს მათს კოლოსალურ პოტენციალსა და შესაძლებლობებს.

თუ შორეულ ავსტრიაში ხედავენ საფრთხეს სააკაშვილის მხრიდან და ამერიკის შეერთებული შტატების ეგოისტურ მისწრაფებებს, რომლებსაც საფრთხე მოაქვთ ყველასათვის, მათ შორის რუსეთისთვისაც, მაშინ რატომ ვერ ხედავს ამას და დაბრმავდა საქართველო? მინდა შევახსენო ქართულ ოპოზიციას და ყველა ჩვენგანს, რომ დაყოვნება — სიკვდილის ტოლფასია, რომ მ.სააკაშვილის მართვის ყოველი ახალი დღე ანგრევს საქართველოს და ქვეყნის აღდგენის პროცესს ქმნის უფრო შეუსრულებლად. ამასთან დაკავშირებით მივმართავ ქართულ ოპოზიციას და უცხოეთის დიასპორებს — გაერთიანდნენ, იყვნენ თანმიმდევრული და ბეჯითები თავიანთ მოქმედებებში და მისწრაფებებში, გამოიყენონ ყველა კონსტიტუციური და დემოკრატიული ბერკეტები დღევანდელი გამყიდველი და დამნაშავე რეჟიმის შეცვლისთვის, ჩვენი სამშობლოს, საქართველოს საკეთილდღეოდ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი ხალხი დაიღალა ხელისუფლების უხამსობის, გამოუვალობისა და უკეთესი ცხოვრების მოლოდინისგან, მაგრამ დღეს დაემატა კიდევ ქვეყნის დაშლისა და ეროვნული კატასტროფის საფრთხე, ამიტომ ხალხი ელის ოპოზიციისგან არა რეჟიმთან ბრძოლის იმიტაციას, რასაც ადრე აკეთებდნენ, არამედ გადამჭრელ საპროტესტო მოქმედებებს, რომელთაც შეეძლებათ კანონიერ საფუძველზე მოახდინონ ხალხის ნების რეალიზაცია და მოაწყონ საქართველოს ხელისუფლების რეალური შეცვლა, დემოკრატიული, მთლიანი, ეკონომიკურად განვითარებული, ნეიტრალური და სოციალურად განვითარებული სახელმწიფოს აშენება.

ამერიკიდან — საქართველოზე

***აშშ-ში მოქმედი ანტიტერორისტული მომზადების გერარდ-ჯგუფის პროგრამები დაზვერვის მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტები და გამოცდილი პროფესიონალი მრჩევლები ქმნიან. ეს სპეციალისტები უსაფრთხოებისა და კონტრტერორიზმის კვლევებსა და ანალიზის საკითხებზე მუშაობენ. ორგანიზაციის პარტნიორები არიან „ამერიკული ცენტრი დემოკრატიისთვისა“ და „დაზვერვის სამიტი“. ამას წინათ გერარდ — ჯგუფის ვებსაიტზე გაჩნდა ამერიკაში მცხოვრები რუსი მწერალ-იაპონისტისა და KGB-ს ყოფილი პოდპოლკოვნიკის, ამ ორგანიზაციის „სახელოვანი“ წარსულისა და აწმყოს შესახებ შვიდი წიგნის ავტორის კონსტანტინე პრეობრაჟენსკის სტატია „აფხაზეთი — კაგებეს პატარა სამეფო“. რუსი მწერლის მოთხრობები „კარატე თავის დაკვრით იწყება“ და „ძალიან ახალი ძველი ამინდი“ სსრკ-ის ლიტარატურის აკადემიურ ანთოლოგიაში „საბჭოთა მწერლები იაპონიაში. 1917-87“ შევიდა. როგორც თავად მწერალი ამბობს, სწორედ იაპონიის უსაზღვრო სიყვარულის გამო გახდა იგი KGB-ს თანამშრომელი. სხვაგვარად უცხოეთში გამგზავრება შეუძლებელი იყო. ყოფილმა პოდპოლკოვნიკმა ისიც განაცხადა, რომ სახელოვანი რუსული ბალეტი და ოპერა თავისი კაშკაშა ვარსკვლავებითურთ KGB-ს საშუალო სტატისტიკური მუშაკები, შტატგარეშე თანამშრომლები გახლდნენ. მათ შორის მაია პლისეცკაიაც კი, ხოლო „ბოლშოი ტეატრი“ KGB-ს ერთ-ერთი განყოფილება იყო. უცხოეთის პასპორტები და ვიზები მხოლოდ ლუბიანკის ინსტანციის გავლით გაიცემოდა და თუ ვინმეს გასტროლებზე წასვლა უნდოდა, მას KGB-სთან „კონტრაქტი“ აუცილებლად უნდა დაედო. რაც შეეხება გაეროში, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში რუსულ მისიებს, იქ იმდენი ძერჟინსკელია, რამდენი წვეთიც იკეანეშიო. „KGB მხოლოდ კომუნისტური პარტიის ნაწილი კი არა, არამედ თავად კომუნისტური პარტია იყო. ამას წინათ ამერიკულ ქალაქ სიეტლში რუსეთის საელჩომ თავისი ფულით საბალეტო სკოლა გახსნა. ეს იქნება პუტინის აგენტების შეხვედრის ადგილი და დაზვერვის მოსახერხებელი პუნქტი. პუტინსა და კაგებეზე მუშაობს ამერიკაში მაუწყებელი რუსული ტელეარხი „Russia Todey“. დავინახე, რომ ერთ ერთ ავტობუსზე ეწერა — „ამინდი რუსიია ტუდაიდან“...(?!) ზუსტად არ ვიცი რამდენი KGB-ს თანამშრომელია სააკაშვილის გარშემო, მაგრამ ერთ ათეულზე მეტი რომ იქნება, ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული“ — დასძინა პრეობრაჟენსკიმ.***

# კიდევ ერთხელ „შიგნიდან“ დანახული „კგბ“






*კონსტანტინე პრეობრაჟენსკი: ტრადიციულად, ძალიან ძნელი იყო, გეპოვა აფხაზური ოჯახი, სადაც, როგორც მინიმუმი, ერთი ნათესავი მაინც არ იქნებოდა დაკავშირებული KGB-სთან, როგორც ყოფილი ოფიცერი, სამოქალაქო მუშაკი ანდა საიდუმლო მოკავშირე...*

1994 წელს იაპონიაში გამოვიდა კონსტანტინე პრეობრაჟენსკის წიგნი — ბესტსელერი სახელწოდებით „ჯაშუში, რომელსაც იაპონია უყვარდა“, რომელიც ჩინეთსა და რუსეთშიც გამოიცა. ამის შემდგომ პრეობრაჟენსკის დევნა გაძლიერდა, რის გამოც მან თავი აშშ-ს შეაფარა.

2007 წელს ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში კ. პრეობრაჟენსკი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა და KGB-ს მჭიდრო კავშირზე მიუთითებდა, ხაზს უსვამდა იმ პოტენციურ საშიშროებაზე, რომელიც პუტინის დროს საზღვარგარეთ მოქმედი რუსული ეკლესიისა და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გაერთიანებას მოსდევდა. ავტორი წერდა, რომ „ამერიკა მზად არ აღმოჩნდა პუტინის საეკლესიო ჯაშუშობისთვის“. KGB-ს ყოფილი თანამშრომლის აზრით, ამერიკის წინააღმდეგ პუტინის დაზვერვის წარმატების მიზეზები შემდეგია: „უპირველესად, ამერიკულ ინტელიგენციაში იმ მემარცხენე შეხედულებების ფართო გავრცელება, რომელიც აქ ოცდაათიან წლებში ლუბიანკამ შემოიტანა. მეორე, რუსეთის აღქმა აშშ-ის მოკავშირედ საერთაშორისო ტერორიზმთან არარსებულ ომში, რომელიც იმავე ლუბიანკაზე შეითხზა. მესამე, დასავლეთის ყველა დაზვერვა ხელშეკრულია ჰუმანური ბურჟუაზიული კანონმდებლობითა და საპარლამენტო კონტროლით. რუსული დაზვერვა კი არანაირი შეზღუდვებით არაა შემოფარგლული. ეს მას მანევრირების ისეთ თავისუფლებას აძლევს, რომელიც დასავლელ დაზვერვებს არც კი დაესიზმრება“.

სტატიაში „აფხაზეთი, KGB-ს პატარა სამეფო“ განხილულია შავიზღვისპირეთის „ახალ სახელმწიფოში“ რუსეთის ფედერალური უშიშროების (FSBძ, როგორც KGB-ს სამართალმემკვიდრის პოსტსაბჭოური მოღვაწეობის პერსპექტივა. პრეობრაჟენსკი წერს, რომ აფხაზეთში რუსეთის KGB-ის მოქმედებამ დასავლეთი სერიოზულად უნდა დააფიქროს კავკასიაში მის მოკავშირესთან ურთიერთობის მომავლის შესახებ. „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზვიად კ. გამსახურდია პრეზიდენტად იყო არჩეული მხოლოდ იმისთვის, რომ მეორე წელს დამხობილი ყოფილიყო, იმ წელს, როცა ქართული ჯარები აფხაზეთში ზღვიდან შევიდნენ და იქ 1992 წლის 14 აგვისტოს გაჩერდნენ. სოხუმი დაკავებულ იქნა და სეპარატისტების ხელმძღვანელებმა ჩრდილოეთისკენ გუდაუთაში დაიხიეს. მაგრამ საბოლოოდ ჩეჩენი თანამგრძნობებისა და რუსი სამხედროების მხარდაჭერით აფხაზმა სეპარატისტების ლიდერებმა იგი კვლავ უკან დაიბრუნეს. მათ 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთში დარჩენილი ქართველები გამოაგდეს“ — წერს კონსტანტინე პრეობრაჟენსკი და მკითხველს მოკლედ მოუთხრობს აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიას. „საქართველოსა და აფხაზეთს შორის შფოთიანი, გამოუვალი მდგომარეობის არსებობის პირობებში რუსეთმა წინა ზაფხულს საქართველოზე თავდასხმა განახორციელა. 2008 წლის 17 სექტემბერს რუსეთს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მეგობრული შეთანხმება გაფორმდა. მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ რუსეთის საზღვრის დამცველები ფედერალურ სასაზღვრო სამსახურს ემორჩილებიან, რომელიც FSB — ნაწილია ანუ KGB-ს კანონიერი მემკვიდრე. ფედერალური სასაზღვრო სამსახურს ტურბულენტური საბჭოთა კავშირის სრული პერიოდის დროს დაზვერვის განყოფილება ამაგრებდა. იგი მეზობელ ქვეყნებს არა მარტო ვიზუალური მონიტორინგით ზვერავდა, არამედ — მოქალაქეების გადაბირებითაც. ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დაზვერვის განყოფილება არის რუსეთის FSB-ს დაზვერვის სამსახურის ნაწილი (საგარეო დაზვერვის სამსახური ანუ KGB-ს ყოფილი განყოფილებაძ და GRU (რუსული არმიის მთავარი სადაზვერვო განყოფილებაძ.

აფხაზეთი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს KGB-ს აგენტებით იყო გატენილი. ეს განპირობებული იყო მისი სტრატეგიული განლაგებითა და შავი ზღვის ლამაზი სანაპიროებით. სსრკ სარგებელს იღებდა აფხაზეთის სტრატეგიული მნიშვნელობიდან. მან იქ დიდი რაოდენობის სამხედრო ბაზები დააარსა. ბაზები თავდაცვის სამინისტროს მიერ იმართებოდნენ. სამინისტრო მთლად KGB არ იყო, მაგრამ მკაცრად კონტროლდებოდა KGB-ს მესამე განყოფილების მიერ, რომელიც სამხედრო კონტრდაზვერვაზე იყო პასუხისმგებელი.

KGB-ს მესამე განყოფილების მიზანი გახლდათ არა მარტო სამხედრო ბაზების ჯარისკაცებისა და ოფიცრების გადაბირება, არამედ აფხაზი და ქართველი ეროვნების ადამიანებისაც, რომლებიც ბაზების გარშემო ცხოვრობდნენ. ასეთი გადაბირებები ხდებოდა იმისთვის, რომ KGB უცხოთაგან ინფორმირებული ყოფილიყო სამხედრო პერსონალის მიერ სამხედრო ბაზებზე ჩადენილი კრიმინალისა და სხვა დარღვევების შესახებ. რადგანაც აფხაზეთი რუსეთის საზღვართან ახლოსაა, ამიტომ KGB-სთვის სასაზღვრო ჯარებისა და საკონტროლო-გამშვები პუნქტების გარშემო არსებული დასახლებები მნიშვნელოვან ღირებულებას იძენდა.

სასაზღვრო ძალები ასევე პასუხიმგებელნი იყვნენ საზღვრის ახლოს მცხოვრები აფხაზების გადაბირებაში, რათა მიეღოთ ინფორმაცია საზღვრის გასწვრივ გამოჩენილი უცხო პირების შესახებ. იმის გამო, რომ შავი ზღვისპირეთი სრულად იყო საბჭოთა საზღვრად მიჩნეული, აგენტების საჭირო რაოდენობა მართლაც შთამბეჭდავი იყო.

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის საფირონის ზღვა, რელიქტური ცაცხვები და მშვენიერი ჰაერი სსრკ-ის ლიდერებს იქ „დაჩების“ აშენების სურვილს უღვიძებდა. საბჭოთა უმაღლესი დონის ლიდერების ცხოვრება კი KGB-ს მეცხრე განყოფილების (ამჟამად ფედერალური დაცვის სამსახურიძ მიერ კონტროლდებოდა. KGB პოლიტბიუროს წევრებსა და მათ ოჯახებს ცხოვრების ყველა ასპექტში გვერდით ედგა, ელიტისა და მისი სტუმრებისთვის ყვავილების დარგვის ჩათვლით.

მსოფლიოს ამ პატარა კუთხეს იმიტომ ჰქონდა ასეთი მნიშვნელობა, რომ იქ KGB-ს თავისი სამინისტრო და არა უბრალოდ KGB-ს რეგიონალური განყოფილება ჰქონდა, რომელიც საერთო ისედაც იყო ყველა რაიონისთვის. აფხაზეთი კი იყო უფრო მეტი, ვიდრე ქართული პროვინცია, მას ჰქონდა მინიჭებული „საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის“ სტატუსი ანუ ის იყო კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფო. აფხაზეთი პასუხისმგებელი იყო ეწარმოებინა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ატრიბუტები, როგორიცაა KGB-ს მსგავსი ერთი მუჭა ნომინალური სამინისტროებისა. ტრადიციულად, ძალიან ძნელი იყო გეპოვა აფხაზური ოჯახი, სადაც, როგორც მინიმუმი, ერთი ნათესავი მაინც არ იქნებოდა დაკავშირებული KGB-სთან, როგორც ყოფილი ოფიცერი, სამოქალაქო მუშაკი ანდა საიდუმლო მოკავშირე. აფხაზეთში KGB-სა და საბჭოთა არმიის შეჭრა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მათი ბაზებითა და საგუშაგოების განლაგებით. მათ დასასვენებლად და მოსადუნებლად დიდი რაოდენობის სანატორიუმები გახსნეს. 1991 წელს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, ბევრი თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმები ახალი მფლობელების ხელში გადავიდა. მაგრამ KGB-ს სანატორიუმი „შუქურა“ არ გარდაქმნილა და იგი ისევ FSB ეკუთვნის, როგორც აფხაზეთში ტრადიციული, KGB/FSB-ის ფორპოსტის შენარჩუნების სიმბოლო.

აფხაზეთში, ფაქტობრივად, შეუძლებელია იპოვო პოლიტიკოსი, რომელსაც KGB-სეული წარმოშობა არ ექნება. ეს დაეხმარა რუსეთს, რომ აფხაზებისთვის რუსული პასპორტები დაერიგებინა. დღეს, აფხაზური მოსახლეობის 90 პროცენტს რუსეთის მოქალაქეობა მიენიჭა და ისინი დარეგისტრირებულნი არიან მოსკოვის რეგიონალურ საარჩევნო რაიონში. 2008 წლის 17 სექტემბრის რუსეთის მეგობრული შეთანხმება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ამ ტერიტორიებს რუსეთის დე ფაქტო ტერიტორიებად გადააქცევს. ოფიციალურად, რუსეთისთვის ხელსაყრელი შემთხვევის მიცემისას, რათა იქ თავდაცვის მანქანა ააშენოს, რუსეთი აფხაზეთს ენერგიასა და სატრანსპორტო სისტემას მისცემს, ისევე როგორც კომუნიკაციებსა და ტელევიზიას. მხოლოდ ერთი რამაა გასაკეთებელი — ამ ტერიტორიების ანექსირებისას, უნდა გაქრეს აფხაზეთის შიგნით რუსეთის საწინააღდეგო მოძრაობის ნარჩენები. აფხაზეთის დამოუკიდებლობის კულტივირება რუსეთის ამ დაფარული მცდელობის ჩაშლის ერთ-ერთი გაუთვალისწინებელი შედეგი შეიძლება გახდეს.

დღეს აფხაზეთი საერთაშორისო თანამეგობრობასთან პირდაპირი კონფრონტაციის თავიდან აცილებისათვის ეძებს გზებს, რათა შეუერთდეს რუსეთ-ბელორუსიის კავშირს, რომელიც მას ნებას მისცემს მხოლოდ ქაღალდზე იყოს დამოუკიდებელი. როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმებულიყო ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, მაშინვე, როგორც პრეზიდენტი ბაღაფში მოვიდოდა ხელისუფლებაში. პრეზიდენტად გახდომის დროს ბაღაფშმა განაცხადა ამ იდეის მხარდაჭერა.

ახლახანს კი ელექტრონულ ჟურნალ Central Asia-Caucasus Analyst-ში გაჩნდა კონსტანტინე პრეობრაჟენსკის მეორე სტატია სათაურით „სამხრეთ ოსეთი: KGB-ს ჭიშკარი კავკასიაში“. ავტორი აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთი უკვე KGB-ს ხელშია მოქცეული; რომ 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთის დახმარებით სამხრეთ ოსეთი საქართველოს დე ფაქტო გამოეყო, იქ ადგილობრივი KGB ჩამოყალიბდა და მას რუსეთის მოქალაქეები მართავდნენ. სამხრეთ ოსეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ასლანბეკ ბულანცევი ეროვნებით ოსია, მაგრამ რუსეთის მოქალაქეა. იგი პუტინის ეპოქის ტიპური სახელმწიფო ჩინოვნიკია- KGB/FSB-ს ფინანსური განყოფილების ყოფილი ოფიცერი. 1986-2006 წლებში იგი ჩრდილოეთ ოსეთში KGB-ს ფინანსურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი ვასილ ლუნევი კი პერმის ოლქის სამხედრო კომისარი იყო. უშიშროების მდივანი ანატოლი ბარანკევიჩი სტავროპოლის ოლქის სამხედრო კომისრის მოადგილე გახლდათ, ასევე მსახურობდა ჩეჩნეთში. არც ერთი მათგანი ოსი არაა. ჩეჩნეთში ბარანკევიჩი რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის უფროსი მოადგილე იყო. რასაკვირველია, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთის კონტრდაზვერვას რუსეთის მოქალაქეები ხემძღვანელობენ და იგი, ფაქტობრივად, საბჭოთა KGB-ს წარმოადგენს. „1954 წელს საბჭოთა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა სახელმწიფო უშიშროების ძლევამოსილ სამინისტროს სტატუსი ჩამოართვა და კომიტეტის დონემდე დაიყვანა, — წერს კ. პრეობრაჟენსკი.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ,**
**ნიუ-იორკი-ვაშინგტონი**

**(დასასრული იქნება)**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე




# საქართველოს ხელისუფლება მიტინგების დასარბევად სპეცტექნიკას ამზადებს?

**საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აქვს სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 9 აპრილისთვის დაგეგმილი მასშტაბური მიტინგების წინა პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიძინა სპეცტექნიკის დიდი ოდენობა და ცრემლსადენი გაზი.**

ირაკლი ბათიაშვილის სიტყვებით, ქვეყანაში მიმდინარეობს სპეცნაზის აქტიური მზადება ზემოაღნიშნული აქციების დასარბევად. მომიტინგეების მთავარი მოთხოვნაა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომა.

შეგახსენებთ, რომ პარტია „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ განაცხადა იმის შესახებ, რომ დემონსტრანტების დასარბევად ხელისუფლებამ თურქეთიდან შემოიტანა სპეციალური წყალსაფრქვევები.

REGNUM

# ჯავახკის მთელი რიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ

**უკანასკნელ ხანებში გააქტიურდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური განხილვები სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით, სადაც უმეტესად ცხოვრობს სომხურენოვანი მოსახლეობა.** ამის შესახებ აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ რეგიონის მთელი რიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. განცხადებაში აღნიშნულია, რომ შეინიშნება აქტიურობა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც გარკვეული ძალების მხარდაჭერით ცდილობენ ყურადღება გადაიტანონ ნამდვილი პრობლემებისგან, რაც დაგროვდა ჯავახკში (მხარის დასახელების სომხური ვერსია – რედ.ძ. „ჯავახკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები მუდმივად განიხილავდნენ და არაერთგზის წარადგენდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში იმ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტისგანაც დიდად არის დამოკიდებული ჯავახკში სომეხი მოსახლეობის შემდგომი არსებობა და სომხეთ-საქართველოს მეგობრობის განმტკიცება. ამ პრობლემებს განეკუთვნება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხები, აგრეთვე პოლიტიკური, სულიერ-კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხები. კერძოდ, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია:

– ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება;

– სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭება საქართველოს სახელმწიფო ენის პარალელურად;

– ადამიანთა და კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობისთვის უფლებების უზრუნველყოფა;

– საქართველოს ხელისუფლების იმ პოლიტიკის გამორიცხვა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის დემოგრაფიული შემადგენლობის ხელოვნურ შეცვლას;

– ჯავახკ-სომხეთის მრავალმხრივი ურთიერთობებისთვის განზრახი დაბრკოლების პოლიტიკის გამორიცხვა;

– რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების მიმართ უკანონო დევნის გამორიცხვა;

– ხელოვნური შეფერხებების თავიდან აცილება სომხეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს ჯავახკის მონაკვეთზე;

– სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემის ოპტიმალური კოორდინირება სომხური ეროვნული განათლების შესაბამისად;

– იმ ღონისძიებების დამუშავება და რეალიზაცია, რომლებიც მიზნად ისახავენ სომხური ეროვნული კულტურის განვითარებას რეგიონში;

– საკანონმდებლო პაკეტის დამუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ჯავახკში საინვესტიციო და ჰუმანიტარულ პოლიტიკას.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტის გარეშე ჯავახკში შენარჩუნებული იქნება მუდმივი დაძაბულობა და ამიტომ მოვითხოვთ ჩვენ მათ გადაჭრას. პრობლემები გადაიჭრება მათი გადაწყვეტის შემდეგ და არა ძალადობრივი დუმილით იმათ მიმართ, ვინც ამისთვის იბრძვის.

ნამდვილი სომხურ-ქართული მეგობრობა დამყარდება მხოლოდ წამოყენებული პრობლემების გადაჭრის შედეგად“.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს ჯავახკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა: პარტია „ვირკის“ თანათავმჯდომარემ დავიდ რსტაკიანმა, კავშირ „აკუნკის“ თავმჯდომარემ მელს ტოროსიანმა, სახალხო მოძრაობა „ჯავახკის“ თავმჯდომარემ ნორიკ კარაპეტიანმა, ინტელიგენტთა კავშირის თავმჯდომარემ აზატ შიპაქციანმა.

REGNUM

# ვაშინგტონი სააკაშვილს ურჩევს წავიდეს?

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, რომელმაც დაამთავრა სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბილისში განაცხადა, რომ ვაშინგტონი უკვე აღარ უჭერს მხარს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.** „ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია საქართველოს პრეზიდენტის პოსტისთვის არ განიხილავს არც ერთ კანდიდატს, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია, ბოლოს და ბოლოს, ავირჩიოთ ეროვნული ხელისუფლება“, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

„სასაცილოა იმაზე საუბარი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია ვარაუდობდეს, რომ სააკაშვილი დარჩება პრეზიდენტად ვადის გასვლამდე, ანუ 2013 წლამდე, – ხაზგასმით აღნიშნა ნათელაშვილმა. – იმედი მაქვს, რომ ვაშინგტონი რეკომენდაციას მისცემს სააკაშვილს – წავიდეს“. ნათელაშვილმა განაცხადა აგრეთვე, რომ ლეიბორისტებმა გადაწყვიტეს შეუერთდნენ მიტინგებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით.

REGNUM

# საქართველო-რუსეთის პრობლემებზე ამერიკული ლობისტური ჯგუფები ხელს კარგად ითბობენ

**საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოიპოვოს მხარდაჭერა ვაშინგტონში დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის. როგორც ვაშინგტონის გაზეთი „დი ჰილი“ იტყობინება, ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა კონტრაქტს 300 ათასი დოლარის ღირებულებით ლობისტურ კომპანია „ფაბლიძ სტრატეჯისთან“. კონტრაქტის მოქმედების ვადა 6 თვეა.**

კომპანიაში საქართველოს საკითხებზე იმუშავებს რამდენიმე გავლენიანი პირი ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიებიდან, მათ შორის ჯეფ ელერი, რომელიც კლინტონის მართველობის დროს კურირებას უწევდა თეთრი სახლის მედი-აკომპანიას, და რობერტ ლუდკე, რომელიც წარსულში იყო დემოკრატიული პარტიის ანალიტიკოსი საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებში.

ამას გარდა, როგორც გაზეთი იტყობინება, თბილისმა 11 თვის ვადით დაიქირავა ორი კონსულტანტი – დენიელ კუნინი და გრეგორ მანიატისი. კონტრაქტის ღირებულება დაახლოებით 470 ათასი დოლარია. გამოცემის ინფორმაციით, ისინი ამ თანხას ერთმანეთში გაიყოფენ.

„ჩვენ უნდა გავუწიოთ საქართველოს მთავრობას კონსულტაციები საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით, კერძოდ, სტრატეგიასა და კომუნიკაციებში. საქართველოსთან მუშაობს კიდევ ერთი ლობისტური ფირმა „გლოვერ პარკ გრუპ“. იგი დაიქირავა საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში. გაწეული სამსახურისთვის მიღებულია 320 ათასი დოლარი.

ამ უკანასკნელმა ფირმამ დაამყარა 50-ზე მეტი კავშირურთიერთობა ამერიკის კონგრესმენებისა და სენატორების ოფისებთან, რათა მოაწყონ შეხვედრები საქართველოს ოფიციალურ პირებთან, ანდა განიხილონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო ურთიერთობებთან.

აღნიშნული ფირმების გარდა საქართველოზე კიდევ მუშაობდა „ორიონ სტრატეჯისი“, რომელმაც, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემებით, შარშან საქართველოს მთავრობისგან მიიღო 150 ათასი დოლარი.

საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა 20 მარტს განაცხადა, რომ რუსეთი აქტიურად იყენებს საერთაშორისო ლობისტურ ჯგუფებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საქართველოს დისკრედიტაციისა და მის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებისთვის.

REGNUM

# რეკომენდაცია ვაშინგტონს: ნუ მიათრევთ ნატოში უკრაინასა და საქართველოს

**ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან შემდგარმა ექსპერტთა ჯგუფმა ახლახან მოსკოვი მოინახულა, შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს და შინ დაბრუნებულმა მოხსენება წარუდგინა ბარაკ ობამას ადმინისტრაციას.**

დოკუმენტის ძირითადი აზრია – რუსეთთან უნდა ვიმეგობროთ და გავითვალისწინოთ მისი ინტერესები. ერთ-ერთი დეტალი – ვაშინგტონს რეკომენდაციას აძლევენ უარი თქვას ნატოში უკრაინისა და საქართველოს შეთრევაზე, რამდენადაც არც ერთი და არც მეორე აუცილებელ კრიტერიუმებს არ უპასუხებენო. საერთოდაც, ფიქრობენ ექსპერტები, ალიანსში ამ ქვეყნების წევრობა არ შედის ამერიკის შეერთებული შტატების არსებით ეროვნულ ინტერესებში.

აი ასე, პატივცემულო მკითხველო, არც მეტი, არც ნაკლები!..

ПРАВДА

# ექსპერტის აზრით

თბილისი „მზადაა სერიოზულად განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზის განთავსების საკითხი“, განაცხადა იაპონური გამომცემლობის „КП“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

ეგ კია, რომ ვაშინგტონს ეს არ უთხოვია. პოლიტოლოგ ალექსანდრე რარის (გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭოს რუსეთისა და დსთ-ს პროგრამის დირექტორიძ აზრით, „თბილისის ინიციატივა არის მიხეილ სააკაშვილის მორიგი ცდა, თავის მხარეს გადაიბიროს ამერიკელები“.

– ვფიქრობ, რომ ობამას ადმინისტრაცია ამ წინადადებას ხეირიანად ხელს არც მოჰკიდებს. საქართველო არ არის ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი. ასე რომ, თბილისში ახლა არ უნდა ელოდნენ ამერიკელთა „მოსავალს“.

ПРАВДА

## დედამიწის ზურგზე



**ინგლისელი მეცნიერები ქმნიან „სინთეტიკურ“ სისხლს გადასხმისთვის**

მეცნიერებს განზრახული აქვთ, აწარმოონ უნივერსალური სისხლი – იგი შეიძლება მიიღონ ნებისმიერი ოდენობით. პროექტის დაწყების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადებენ ერთი კვირის განმავლობაში. ანალოგიური გამოკვლევები უკვე მიმდინარეობს დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

* * *

**„გაზპრომი“ ევროპაში კარგავს „სამხრეთი ნაკადის“ მომხრეს – უნგრელი პრემიერი გადადგა**

დიურჩანმა ვერ მიაღწია ევროკავშირისგან მიეღო „ახალი ევროპის“ ეკონომიკების ექსტრემალური გადარჩენის პროგრამა 190 მილიარდი ევროს ოდენობით. გაზსადენის პროგრამას, ნაბუკოსგან განსხვავებით, არ აქვს ევროკავშირისთვის პრიორიტეტული სტატუსი და დამოკიდებულია ცალკეული პოლიტიკოსების მხარდაჭერაზე, რომელთა შორისაც იყო დიურჩანი.

* * *



**ავსტრალიის სანაპიროზე გამოირიყა 80-ზე მეტი ვეშაპი, გადარჩა მხოლოდ 25**

სპეციალისტების აზრით, ვეშაპების გამორიყვის სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს ბელადის შეცდომა, რომელმაც დაკარგა ორიენტაცია. ქარავანი, ბუნებრივი ინსტინქტის კვალდაკვალ, ბრმად მიჰყვებოდა მის მოქმედებას. ამჟამად ღებულობენ ყველა შესაძლო ზომას ვეშაპების მშობლიურ სტიქიაში დასაბრუნებლად.

* * *

**ბრიტანეთში საიდუმლოების გრიფი მოხსნეს დოკუმენტების ახალ რიგს კოსმოსიდან მოსულებთან შეხვედრებისა და შეუცნობელი მფრინავი ობიექტების შესახებ**

ერთმა ქალმა ილაპარაკა, რომ შეხვდა კაცს, რომელმაც უთხრა: კოსმოსიდან მოვედიო. შემდეგ კი დაინახა, თუ როგორ გაფრინდა უზარმაზარი სფერული ობიექტი. რამდენიმე ადამიანმა სხვადასხვა ადგილას დაინახა საათში 500 მილის სიჩქარით მფრინავი „ბუმერანგი“. ცალკეული შეუცნობელი მფრინავი ობიექტები აღმოჩნდნენ საბჭოთა და რუსული რაკეტების ნარჩენები.

* * *

**ამერიკის შტატ მონტანაში თვითმფრინავი ჩამოვარდა სასაფლაოზე: დაიღუპა 14 ადამიანი, მათ შორის 7 ბავშვია**

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ავიაციის ფედერალურ სამმართველოში მიიჩნევენ, ჩარტერული რეისის მგზავრები მოფრინავდნენ სათხილამურო კურორტზე. კატასტროფა მოხდა ქალაქ ბიუტის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან 150 მეტრში.



◎ საგარეო ვალი

# ნეტავ როგორ აპირებენ ვალის გასტუმრებას?



**საქართველოს საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების მთლიანი მოცულობა, მარტის დამდეგისთვის, ორნახევარ მილიარდ დოლარს აჭარბებდა.**

ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საგარეო ვალის მთლიანი მოცულობა ბოლო დროს დაახლოებით 30 პროცენტით გაიზარდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ვალის ესოდენ მნიშვნელოვანი მატება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა, კერძოდ, ესაა **ლონდონის ბირჟაზე ნახევარი მილიარდი დოლარის ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვა; შარშანდელი აგვისტოს შემდგომ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან კრედიტების აღება, აგრეთვე ლარის კურსის 25-პროცენტიანი დაწევა.**

საგარეო ვალის სტრუქტურას თუ განვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა პარტნიორ ქვეყანასთან ორმხრივი შეთანხმებების თანახმად, იგი მთლიანად დაახლოებით 508 მილიონი დოლარია, რომელთაგან ჩვენი ყველაზე დიდი მევალეები არიან **გერმანია** (157 მილიონ დოლარზე მეტი), **რუსეთი** (119,4 მილიონი) და **იაპონია** (52,2 მილიონი). ამ სამეულს გარდა, „რიგში“ დგანან **აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ჩინეთი, კუვეიტი, ნიდერლანდი, ირანი, სომხეთი, ავსტრია, თურქმენეთი, თურქეთი, უზბეკეთი, უკრაინა.**

რაც შეეხება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან აღებულ კრედიტებს, მათი მთლიანი ოდენობა მილიარდ 559 მილიონი დოლარია, რომელთაგან 994 მილიონ დოლარზე მეტი **საერთაშორისო განვითარების ასოციაციისა გვმართებს,** დაახლოებით 431,5 მილიონი — **საერთაშორისო სავალუტო ფონდის,** 69 მილიონი — **აზიის განვითარების ბანკის.**

ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარდა მეტად სოლიდური თანხები საქართველომ ასევე უნდა დაუბრუნოს **ევროკავშირს, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო განვითარების ფონდსა და სხვებს.** გარდა ამისა, თითქმის 8,5 მილიონი დოლარია სახელმწიფო გარანტიებით ქვეყანაში მოზიდული სხვადასხვა ვადიანი კრედიტი, რომელიც ოდესმე აუცილებლად უნდა გადავიხადოთ...

ეგ ყველაფერი კი ასეა, საქართველოს საგარეო ვალი და მისი გასტუმრების პრობლემა არც დღეს დამდგარა დღის წესრიგში და არც გუშინ, ამის თაობაზე სპეციალისტებმა ლაპარაკი ჯერ კიდევ მისი დაგროვებისა და კატასტროფული ტემპით ზრდის დროს დაიწყეს. ერთხელ ჩვენი საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზეც კი გადაითვალეს და გამოვიდა, რომ თითოეულს (ჩვილებისა და უმწეო მოხუცების ჩათვლით) დაახლოებით 600 დოლარი „გვემართა“. მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა, ვალიც, ცხადია, გაიზარდა (ანდა, რა შეამცირებდა?) და ერთი იქნებ ვინმემ განგვიმარტოს, თუ როგორ აპირებს მთავრობა მის დაფარვას, თანაც იმ საყოველთაო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რომლის პიკი, ექსპერტების შეფასებით, ჯერაც წინ არის?

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ცხრა მთას იქით

# ორი მერი — შორეული და აქაური

**„КП“-ს რომ ჰკითხო, მოძმე უკრაინის დედაქალაქის მერი, სახელგვარად ლეონიდ ჩერნოვიცკი ცოტა შექანებული ჩანს და ფსიქიატრთან მისვლას „ექვემდებარება“.**

საბაბს თავის ნორმალურობაში დასაეჭვებლად საყვარელ კიეველთ თურმე რეგულარულად აძლევს: ხან გამოაცხადებს, რომ დედაქალაქელებმა ყველაფერში უნდა ფული იხადონ — პოლიკლინიკების მომსახურებაში, სასაფლაოებზე შესასვლელად, საპირფარეშოებში, ტუალეტების ცქერაშიც კი! ზედაც გადასახადები შემოუღია დომოფონებზე, აივნებსა და ჯავშნიან კარებზე...

ახლა ნალაპარაკევს არ იკითხავთ? „დღეში მილიონ დოლარს გავაკეთებ. აბა ჩემზე უკეთესად ვინ მღერის? არცვინ, მხოლოდ ღმერთი“ (საკუთარი დისკის პრეზენტაციაზე წარმოთქმული სიტყვიდან); „ნახევარი მორგი მდიდრებზე გავაქირავეთ და იქ იმათ ისეთ კომფორტში აჩერებენ, რომ აღდგებიან ხოლმე: კონდიციონერები გინდა, მაცივრები გინდა, სასაფლაოზე ადგილები გინდა“... (კიევის საბჭოს სესიაზე გამოსვლიდან).

ჰოდა, ასეთი ქალაქის თავის „შემყურენი“ რას ვერჩით თბილისის მერს გიგი უგულავას? ვაკის პარკში შესვლა ფასიანი გახადა? აივნებზე ან ლოჯიებში სარეცხის გაფენა დაგვიშალა? „ახალი სტილით“ მომუშავე ავტობუსებში უბილეთოდ მგზავრობისათვის ყოჩაღ ფორმიან კონტროლიორებს 15 ლარით ვინმე დააჯარიმებინა? ხელისუფლების კრიტიკა-ლანძღვისთვის რომელიმე ოპოზიციური გაზეთის რედაქცია დაარბევინა? სადარბაზოებში შესასვლელ რკინის კართა დაყენებაში ფული გადაგვახდევინა?..

...რა ყოფილა კიეველი მერი იგი... მოდით, აღარ ვამუნათოთ ჩვენი გიგი...

**თამაზ ებანოიძე**

◎ გვწერენ

# მშიერი კაცის გოდება

**ჩვენ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ძალიან დაჩაგრულები ვართ. რამდენიმე წელიწადია ყურადღებას არავინ გვაქცევს. ბოლო ხანს პროდუქტებსაც არ გვაძლევენ.**

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი დღე და ღამე ცხინვალის რეგიონიდან დევნილებთანაა. მათ გამოუყვეს მიწის ნაკვეთები და აუშენეს საცხოვრებელი სახლები, რაც საჭირო იყო ოჯახისთვის, ყველაფერი მისცეს. აფხაზეთიდან დევნილებისთვის, გულახდილად ვამბობ, არავინ არ ზრუნავს. სამამულო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულებს პენსია მხოლოდ 60 ლარი გვაქვს, ხოლო სტაჟის მქონე მოქალაქეებს 85 ლარი. ომის ვეტერანებთან გათანაბრებულებს მუშაობის სტაჟი არ ჩაგვითვალეს! ეს ჩვენი აბუჩად აგდებაა.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვართ, ნახევრად მშივრები ვყრივართ, პენსია წამლის ფულადაც არ გვყოფნის.

პრეზიდენტო, პარლამენტო, მინისტრებო! — მოგვხედეთ, დაგვეხმარეთ, თორემ უფალი სამაგიეროს მოგიზღავთ!

**აფხაზეთიდან ლტოლვილების სახელით,**

**ვალერიან ლუკავა**

**განცხადება**

**გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „სან გეოს“ (მდებარე გურჯაანი, სოფ. ვაჩნაძიანი) რეგისტრირებული ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 2000 წლის 11 ივლისს №7/4-1531 დადგენილებით. საიდენტ. კოდი 206107461) შეერთება შპს „ვაჩნაძიანთან“ (მდებარე გურჯაანის რ-ნი, სოფ. ვაჩნაძიანი, საიდ. კოდი 227717815).**

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვმართოთ ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8, ბ. 75, ტელ: 915 930 (გია).**

**გენერალური დირექტორი ა. ხარებავა**

საქმე № 2/3352-07

# განჩინება

**საქართველოს სახელით**

**პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ**

12 მარტი 2009 წელი — ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის**

მოსამართლე — თამარ ჩიხლაძე

| | |
|---|---|
| მოსარჩელე | სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L international“ |
| მოპასუხე | შპს „ალბა“ და შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტი“ |
| დავის საგანი | დავალიანების გადახდა და დაგირავებული ქონების რეალიზაცია. |

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L international“-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების შპს „ალბას“ და შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის“ მიმართ დავალიანების გადახდისა და დაგირავებული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

აღნიშნულ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2009 წლის 10 აპრილს 14:00 საათზე დანიშნულია მთავარი სხდომა.

2009 წლის 12 მარტს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა ნინო ნიავაძემ იშუამდგომლა მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტისათვის“ სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე, რადგან მას იურიდიულ მისამართზე არ ბარდება სასამართლო კორესპონდენციები.

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის ნინო ნიავაძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის“ სასამართლოს სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს“ სასამართლო უწყება ვერ ბარდება მის იურიდიულ მისამართზე — ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №17, შესაბამისად, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს“ სასამართლოს 2009 წლის 10 აპრილს 14 საათზე დანიშნული მთავარი სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს უწყების საჯაროდ გავრცელების გზით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მისი პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ №2/3352-07 საქმეზე, სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L international“-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების შპს „ალბა“-სა და შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის“ მიმართ დავალიანების გადახდისა და დაგირავებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, 2009 წლის 10 აპრილს 14:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მე-19 დარბაზში დანიშნული მთავარის სხდომის შესახებ ეცნობოს მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტი“ (დირექტორი — დავით ყიფიანი);
2. განემარტოს მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს“ (დირექტორი — დავით ყიფიანი), რომ თუ იგი ან მისი უფლებამოსილი პირი არ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართოლს, მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე;
3. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელე მხარეს საკუთარი ხარჯებით გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“;
4. სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში;
5. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **თამარ ჩიხლაძე**

ძვირფასი სილუეტები

# ჟღერს ნიჭი მამის დანატოვარი!..



**შუადღის დადგომას – დაბადების 50 წლისთავს „პროზაულად“ ხვდება გამოჩენილი მუსიკოსი ვახტანგ კახიძე – ძვირფასი მამის, ჩვენგან ნაადრევად წასული ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაქანებული რემონტია და მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, შეიძლება ითქვას, „პრარაბობა“ შეითავსა.**

– არადა, გაგრძელდა... კარგა ხანია ვარემონტებთ, – მეუბნება იგი თავის კაბინეტში, თან მალიმალ „მობილურს“ პასუხობს. – გემახსოვრებათ, ცენტრი 1989 წელს გაიხსნა, მაგრამ, აქა-იქ მაინც არ იყო დამთავრებული, მაგალითად, ფასადი მოსაპირკეთებელი დარჩა, აკუსტიკა მოსაწესრიგებელი... მოიშალა თბომეურნეობა... „პლეხანოვი“ ხომ ერთ-ერთი ძველთაძველი უბანია და შენობის საძირკველიც უკვე გასამაგრებელი გახდა. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შემხვედვარე, ვინ მოიცლიდა ამისთვის, მაგრამ, აი, გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი (იგი თავის გვარს, როგორც წესი, არავის ასახელებინებს) და თავისი მადლი ჩვენც გადმოგვაწვდინა... მგონი, მალე უნდა ეშველოს აქაურობას...

* * *

**ორი, მუსიკაზე უზომოდ შეყვარებული შვილი დარჩა ჯანსუღ კახიძეს – ვახტანგი და თეონა. თეონა ნიჭიერი მუსიკათმცოდნეა, ხოლო ვახტანგი უკვე იყო ცნობილი მუსიკოსი, ჯანსუღი რომ გარდაიცვალა.**

– მან შემასწავლა სიმღერა, ჩამინერგა იმპროვიზაციის ნიჭი, ამანაც განაპირობა, 6 წლის ასაკში, ფორტეპიანო რომ შევისწავლე, მალე საგუნდო-სადირიჟოროც დავამთავრე, მერე კი კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტი.

**– და, რამდენიმე კარგი, მელოდიური სიმღერაც შექმენით, მაგალითად, ფილმ „იავნანაში“...**

– კი... „იავნანაში“ ერთ ადგილას არის ჩემი „შობის გალობა“, საერთოდ კი მამაჩემს ეკუთვნის მთელი ფილმის მუსიკა...

**– ოხ, რა გულში ჩამწვდომია!.. არადა, ბატონი ჯანო, ხშირად უთქვამს, არ თვლიდა თავს კომპოზიტორად...**

– სწორი ბრძანდებით... მამა იყო დირიჟორი, ამ საქმეს შესწირა მთელი ცხოვრება და მე დიახაც მეამაყება, რომ, თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მამის კვალს გავყევი – ვარ თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და, ამასთან, ვცდილობ, მამაჩემის დაფუძნებული მუსიკალური ცენტრის არსებობას ახალი იმპულსი მივცე.



**– თუ შეინარჩუნეთ ორკესტრში დონე, რაც ბატონმა ჯანსუღმა დატოვა?**

– მე მგონი, კი... ამის დასტურია მიწვევები, რაც ჩვენი ორკესტრის მიმართ მოდის ევროპის კულტურული ცენტრებიდან... ჩვენ ბევრს ვმოგზაურობთ...

**– როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თქვენი ბალეტი „ამორძალები“ და კიდევ რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები, იძლეოდნენ იმის იმედს, რომ მეტი და მეტი გემუშავათ კომპოზიციაში, რა მოხდა?..**

– განსაკუთრებული არაფერი. ჯერ ერთი, ცოტა დრო მრჩება მუსიკის საწერად, მეორეც, მე მაქსიმალისტი ვარ და არ შემიძლია ყველაფერს „მოვედო“. დირიჟორობა ჩემი მთავარი საქმე გახდა...

**– ასე მოდიოდა ბატონი ჯანოც... გარეგნობით არ ჰგავხართ... ხასიათი? როგორც მისი კოლეგებისგან გამიგია, იგი ცოტა მძიმე ხასიათისა იყო...**

– პირდაპირი იყო, რასაც ზოგი მძიმე ხასიათად უთვლიდა. ადამიანებს (მით უმეტეს საქართველოში) ლამაზი ტყუილი ურჩევნიათ „ულამაზო“ სიმართლეს... პირდაპირობამ ბევრი მტერი შესძინა... წავიდა და ახლა ხვდებიან, რა მართალი იყო ჯანო კახიძე თავისი პრინციპების დაცვისას... უნდა გითხრათ, რომ ხასიათით მამას ვგავარ... ორკესტრში აუცილებელია დისციპლინა...

**– აბა, თქვენ იცით, მამის გენს, მამის ნიჭს, მამის დანატოვარ საქმეს, თავად მოგეხსენებათ, გაფრთხილება უნდა, თქვენ „გამადიდებელი შუშით“ გიყურებთ მთელი საქართველო!**

პატივგება

## საოპერო თეატრის „წითელ დარბაზში“...

**ერთი წლის წინათ გარდაიცვალა ჯემალ ოიკაშვილი – მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული ქართველი ინტელიგენტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის პედაგოგი, კომპოზიტორი, პოეტი, რეჟისორი, ფოტოხელოვანი, სამეცნიერო ნაშრომების ავტორი ქართველი თუ არაქართველი კომპოზიტორების შემოქმედების შესახებ.**

იგი იყო კონსერვატორიის სტუდენტების საყვარელი პედაგოგი, მაგრამ თუ ამდენი კარგი მუსიკალური კომპოზიციები, მინიატიურები, პიესები დატოვა, ბევრმა არ იცოდა, არ იცოდნენ მისი პოეტური ნიჭის შესახებაც. თუმცა, ჯემალ ოიკაშვილის ვაჟმა, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა და კოლეგამ ზურაბ ოიკაშვილმა თავი მოუყარა



მამის ლექსებს და წიგნად გამოსცა, ხოლო, ახლახან, საოპერო თეატრის „წითელ დარბაზში“ გამართა მამის ხსოვნის საღამო, რომელზეც შესრულდა ჯემალ ოიკაშვილის მუსიკალური ნაწარმოებები, მსახიობებმა წაიკითხეს ჩვენგან ნაადრევად წასული კაცის ლექსები.

წასაკითხია

## სიბრძნე ქაღალდზე გადმოტანილი...

**იგი ხშირად დადიოდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, მოგვიტანდა ხოლმე ხასხასა გონების სიმახვილით აღბეჭდილ ანდაზებს, ნაკვესებს, იგავ-არაკებს და რედაქციაც სიამოვნებით აქვეყნებდა ხოლმე მათ გაზეთის ფურცლებზე. არადა, ბატონი ვახტანგ ჯავრიშვილი პროფესიით ინჟინერი კაცი იყო, ერთ ხანს თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში მუშაობდა, გამომგონებლის სახელიც დაიგდო, მეფუტკრეობასაც მისდევდა, ხოლო შემდეგ და შემდეგ გაირკვა, რომ იგი ბრძნულად ამოთქმულ ანდაზებს, იგავ-არაკებს, ნაკვესებს წერდა... გამოქვეყნებაც დაიწყო და უმალ მიიქცია მკითხველის, ქართული ენის სპეციალისტების ყურადღება.**



**ბატონ ვახტანგს უყვარდა ადამიანი, ქართული სუფრა, მოლხენა და თამადობა, რაშიც მსუბუქი იუმორიც გამოარჩევდა ხოლმე. იგი ახლა 90 წლისა იქნებოდა. მოინდომა ოჯახმა და ახლახან ვახტანგ ჯავრიშვილის ანდაზების, ნაკვესების და იგავ-არაკების ახალი კრებული გამოსცა, რომელიც მართლაც კარგი საჩუქარია მკითხველისთვის, მეტადრე, ახალგაზრდობისთვის.**

ვერნისაჟი

## ჩვენმა „ჯილამ“ „კოპალაში“ გაიბრწყინა



**თუმცა მოკლე სიზმარივით გაიბრწყინა – თავისი ფერწერული ნამუშევრები ერთი დღით გამოფინა „კოპალაში“ მხატვარმა ლევან კორძაიამ. მობრძანდნენ ნაცნობ-მეგობრები, უფროსი თუ საშუალო ასაკის მხატვრები, რომლებიც ცხოველი ინტერესით ათვალიერებდნენ საგამოფენო დარბაზის აფერადებულ კედლებს, ესალმებოდნენ, ულოცავდნენ, ეფერებოდნენ ლევანს. მამა როსტომ ლოთრქიფანიძე მეუბნება, რომ იგი კარგად იცნობს ლევან კორძაიას შემოქმედებას და უხარია, რომ მის მეგობარს ასე უყვარს ადამიანი, აინტერესებს მისი სულიერი სამყარო.**

– ლევანი ჩვენი „ჯილაა“, – ამატებს მხატვარი გივი თოიძე, – ნიჭიერი კაცია, რაც ახალ ნამუშევრებშიც კარგად ჩანს...

– ეს არის კონტრასტული ფერწერის კლასიკური მაგალითი. ლევანი შესანიშნავად ფლობს ფერს... ნახეთ, რა ნატურმორტებია, რა პორტრეტებია!.. – აღტაცებას ვერ ფარავს მხატვარი თემო გოცაძე.

ლევან კორძაიამ 1970 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია.



იგი დღესაც დიდი პატივისცემით იგონებს იმ პედაგოგებს (განსაკუთრებით სერგო ქობულაძეს), რომელთა დახმარებითაც (და ღმერთის წყალობით) ასე დაეუფლა ფერების ხელოვნებას.

მეუბნება: – ეს ჩემი მეორე პერსონალური გამოფენაა, საერთოდ, ნელა ვმუშაობ, აქაც, თითქმის ყველა ის ნამუშევარია გამოფენილი, რომლებსაც, ასე თუ ისე, კარგად იცნობენ სახვითი ხელოვნების მოყვარულები...

**– კი, მაგრამ, ასე ერთი დღით, რატომ?..**

– „ფარა“, ძმაო, „ფარა“... ნეტუ! – იღიმება იგი.

**– არა უშავს, ჩემო ლევან!.. „მდიდრებს ოქრო აქვთ, ჩვენ თვითონა ვართ ოქრო ბიჭები“!**

– მა რა!..

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

◉ რაგბი

# თექვსმეტწლიანი ისტორია გრძელდება



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს 16 წელიწადია, რუსეთის ეროვნულ გუნდთან არ წაუგია. ბორჯღალოსნებმა ტრადიციას არც გასულ უქმეებზე უღალატეს: ევროპის ერთა თასის გათამაშების მეხუთე ტურში ჩრდილოელ მეზობლებს უკრაინის ქალაქ მარიუპოლში დაუპირისპირდნენ. შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ შეხვედრის ადგილი თავად რუსებმა აირჩიეს, რადგან თანამემამულეთა თანადგომის იმედი ჰქონდათ. არც შემცდარან, თუმცა ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს, რომ უკრაინა საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, იქ ბევრი ქართველი ცხოვრობს და გულშემატკივრობა არც ბორჯღალოსნებს მოაკლდებოდათ. ასეც მოხდა — როგორც ჩვენმა მორაგბეებმა დაჩაგრეს მეტოქე მოედანზე, ქომაგებსაც ასეთივე უპირატესობა ჰქონდათ ტრიბუნებზე.



ახლა კი მოკლედ მატჩის შესახებ: დაძაბული ორთაბრძოლა გამოდგა. მე-8 წუთზე იური კუშნარიოვმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა — 3:0. ამის შემდეგ ინიციატივას ქართველები დაეუფლნენ, ზედიზედ სამი ლელო გაიტანეს და პირველი ტაიმი 19:6 მოიგეს. შესვენების მერე 62-ე წუთამდე უპირატესობას ჩვენები ფლობდნენ. ქულათა სოლიდური სხვაობითაც დაწინაურდნენ — 24:6. ეტყობა, საქმე მომთავრებულად ჩათვალეს და ყურადღება მოადუნეს, რაც კინაღამ ძვირად დაუჯდათ. საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე ანგარიში გახდა 24:21. აქ ბორჯღალოსნებმა ისევ გამოიჩინეს ფხა — მაჩხანელმა ბოლო ლელო გაიტანა და საქართველოს ნაკრებმა 29:21 გაიმარჯვა.

ამავე დღეს რუმინელებმა შინ პორტუგალიელებთან წააგეს 21:22. ერთა თასის გათამაშების პირველი წრის დამთავრებამდე ერთი მატჩი დარჩა — გერმანია — რუსეთი (2 მაისიძ, თუმცა მისი შედეგი ბევრს ვერაფერს შეცვლის გარდა იმისა, რომ წარმატების შემთხვევაში რუსები პორტუგალიას გაუსწრებენ და მეორე ადგილზე გადაინაცვლებენ. ბორჯღალოსნები 9 ქულით პირველ ადგილზე დამკვიდრდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 5 | 4 | 1 | 0 | 9 |
| **პორტუგალია** | 5 | 3 | 1 | 1 | 7 |
| **რუსეთი** | 4 | 3 | 0 | 1 | 6 |
| **რუმინეთი** | 5 | 2 | 0 | 3 | 4 |
| **ესპანეთი** | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |
| **გერმანია** | 4 | 0 | 0 | 4 | 0 |

**დამთავრდა მორაგბეთა ექვსი ერის პირველობა.** მეხუთე ტურში ირლანდიამ სტუმრად უელსი დაამარცხა 17:15 და თავის ისტორიაში დიდი სლემი მეორედ მოიგო. მეორე ადგილზე გავიდა ინგლისი, რომელმაც შოტლანდიას სძლია 26:12, მესამე ადგილი ფრანგებს ხვდათ. სამფეროვნებმა იტალია დააჩოქეს 50:8.



### ალტაცება ლექსად

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრების რუსეთის ნაკრებზე გამარჯვების შემდეგ**

*ერთად ყოფნით, ერთად დგომით,*
*კვლავაც გაგვეტანოს ლელო,*
*რომ იძახდეს მტერ-მოყვარე*
*ВОТ, ეს არის საქართველო!..*

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ეროვნული ჩემპიონატი

# ოქროს ციებ-ცხელება

**გათამაშების ფინიშამდე შვიდი ტური დარჩა, ფავორიტებმა კი ჩავარდნებს მოუხშირეს და მდევრებს საჩემპიონო მარაქაში გარევის საშუალება მისცეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მალე კონკურენტებს ერთმანეთთან უწევთ შეხვედრები, უნდა ვივარაუდოთ, რომ კვანძიც მაშინ გაიხსნება.**

**XXIII ტურის მატჩების შედეგები:** „გაგრა“ — „მგლები“ 2:2, „ზესტაფონი“ — „მესხეთი“ 3:0, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 0:0, „ბორჯომი“ — „სიონი“ 1:2, „ცხინვალი“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:0: ისვენებდა „ოლიმპი“.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვიტ ჯორჯია“ — 50, „დინამო“ — 49, „ზესტაფონი“ — 43, „ოლიმპი“ — 42 ქულა.

**4 აპრილს ითამაშებენ:** „დინამო“ — „ოლიმპი“, „სიონი“ — „მესხეთი“, „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“, „ბორჯომი“ — „გაგრა“, „მგლები“ — „ცხინვალი“. ისვენებს „ზესტაფონი“.

◉ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XXIX ტური.** „ინტერი“ — „რეჯინა“ 3:0, „რომა“ — „იუვენტუსი“ 1:4, „ნაპოლი“ — „მილანი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 69, „იუვენტუსი“ — 62, „მილანი“ — 55 ქულა.

**შემდეგი ტური:** „უდინეზე“ — „ინტერი“, „იუვენტუსი“ — „კიევო“, „მილანი“ — „ლეჩე“.

**ესპანეთი. XXVIII ტური.** „ბარსელონა“ — „მალაგა“ 6:0, „რეალი“ — „ალმერია“ 3:0, „სევილია- — „ვალიადოლიდი“ 4:1.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ — 69, „რეალი“ — 63, „სევილია“ — 54 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ვალიადოლიდი“ — „ბარსელონა“, „მალაგა“ — „რეალი“, „უელვა“ — „სევილია“.

**ინგლისი. XXX ტური.** „ფულჰემი“ — „მანჩესტერი“ 2:0, „ტოტენჰემი“ — „ჩელსი“ 1:0, „ლივერპული“ — „ასტონ ვილა“ 5:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ — 65, „ლივერპული“ — 64, „ჩელსი“ — 61 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მანჩესტერი“ — „ასტონ ვილა“, „ნიუკასლი“ — „ჩელსი“, „ფულჰემი“ — „ლივერპული“.

**გერმანია. XXV ტური.** „შტუტგარტი“ — „ჰერტა“ 2:0, „ბაიერნი“ — „კარლსრუე“ 1:0, „ბილეფელდი“ — „ვოლფსბურგი“ 0:3, „შალკე“ — „ჰამბურგი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰერტა“ — 49, „ბაიერნი“, „ვოლფსბურგი“, „ჰამბურგი“ — 48-48 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ჰერტა“ — „ბორუსია“, „ვოლფსბურგი“ — „ბაიერნი“, „ჰამბურგი“ — „ჰოფენჰაიმი“.

**საფრანგეთი. XXIX ტური.** „ლიონი“ — „სოშო“ 2:0, „მარსელი“ — „ნანტი“ 2:0, „ლე ჰავრი“ — „ბორდო“ 0:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 56, „მარსელი“ — 55, „ბორდო“ — 53 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ლე მანი“ — „ლიონი“, „სენტ ეტიენი“ — „მარსელი“, „ბორდო“ — „ნანსი“.

◉ კალათბურთი

# დაშავდებოდა რამე?!

**სუპერლიგის მორიგი ტური „სასოფლოსა“ და ნტდ „თბილისის“ ცენტრალურ შეხვედრას დაუმშვენებია. დიახ, დაუმშვენებია, რადგან მისი ანგარიში — 83:77 სტუდენტთა სასარგებლოდ, მხოლოდ საფინალო სასტვენის შემდეგ შევიტყვეთ.**

მიზეზი ბანალურია — კალენდრის მიხედვით, ამ თამაშისა და საქართველო — რუსეთის სარაგბო ომის დაწყების დრო ერთმანეთს დაემთხვა, კალათბურთის ფედერაციამ კი რატომღაც არ გაითვალისწინა გულშემატკივართა ინტერესი და ბრძოლამ თითქმის ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ჩაიარა.



„ავიამშენის“ თავკაცმა ლევან მოსეშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის წინააღმდეგ თავის გამოჩენის საშუალება რეზერვისტებსაც მისცა, მაგრამ პირველი ნახევრის შემდეგ (34:31ძ იძულებული გახდა სარბიელზე ნაცვლიშვილი და ნიკოლაძე გამოეყვანა. სწორედ მათი ძალისხმევით მიაღწიეს ავიატორებმა გადამწყვეტ უპირატესობას — 82:62.

**დანარჩენი მატჩების შედეგები:** „ენერჯი ინვესტი“ — „მაკაბი“ 132:49 (!ძ, „ბათუმი“ — „დინამო“ 65:92. ისვენებდა თსუ.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ენერჯი ინვესტი“ — 30, „ავიამშენი“, „სასოფლო“ — 26-26 ქულა.

◉ ადამიანი დროში

# რკინას გაჯიბრებული

თითქმის ექვსი ათეული წელიწადი მიილია მას შემდეგ, რაც თბილისელმა რაფაელ ჩიმიშკიანმა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი დაიმსახურა. იგი სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზეც არაერთხელ ასულა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ორგზის, ევროპის ექვსგზისა და საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონია, რომ არაფერი ვთქვათ მეორე და მესამე ადგილებზე. 11-ჯერ მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანია. თბილისის საპატიო მოქალაქეს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს საქართველოს დედაქალაქი და პატივს სცემს მის ყველა მოქალაქეს, 80 წელი შეუსრულდა. ამაგდარი პიროვნება — ძია რაფო, როგორც ახლობლები ეძახიან, ასაკის მიუხედავად, მხნედ გამოიყურება, ოპტიმიზმით არის აღსავსე და დადებით მუხტს ახლობლებსაც გადასცემს.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო რაფაელ, ღმერთმა გადღეგრძელოთ!



# ჰიპერტონიანების სამახსოვროდ



● არ შეიძლება მაღალი წნევის ძალზე სწრაფად, მოკლე ხანში დაწევა, გაცილებით უსაფრთხოა ამის 2-3 ეტაპად გაკეთება, თანაც რამდენიმე თვის განმავლობაში, ნელ-ნელა რომ მიეჩვიოთ სისხლის ახალ წნევას. ის რომ მკვეთრად დავიწიოთ, შესაძლოა, განვითარდეს გულის ან ტვინის იშემია.

● თავს რომ უკეთ იგრძნობთ, არ მიატოვოთ პრეპარატების მიღება. ჰიპერტონული დაავადება ქრონიკული სენია. ერთხელ რომ გაჩნდება, ის აღარსად წავა. ამიტომაც ჰიპერტონიის დროს ექიმების მიერ შერჩეული თერაპია სამუდამო უნდა იყოს.

● ნებისმიერი არამედიკამენტური საშუალება, სამწუხაროდ, უძლურია.

● წამლების დოზის თვითნებურად შემცირება საშიშია. მხოლოდ ექიმებს შეუძლიათ ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ისიც დიდი სიფრთხილით. განსაკუთრებით სარისკოა ბეტა ბლოკატორების დოზის შემცირება. ეს გულის კატასტროფით გვემუქრება, თუნდაც ინფარქტით.



● ავადმყოფმა უნდა იცოდეს მისი პირადი არტერიული წნევის მომატების ფაქტორები (მეტეოროლოგიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ა. შ.) და შეეძლოს საშიში მომენტებისას შესაბამისად წამლების დოზის რეგულირება.

საშიში ფაქტორები, შეიძლება, სრულად განსხვავებული იყოს. მათი გამოვლენა შეიძლება ექიმთან დაწვრილებითი საუბრისას. რომლისთვისაც ცნობილი იქნება არა მხოლოდ ავადმყოფის, არამედ მისი ახლობლების, წინაპრებისაც კი ცხოვრების მდგომარეობა.

● კარგ ჰიპტენიზურ პრეპარატს არ შეიძლება ჰქონდეს სწრაფი ეფექტი. გაუმჯობესება უნდა დადგეს მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

## ერბოკვერცხის სიკეთე



შემწვარ კვერცხში არის ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის წნევის დაწევას, – დაადგინეს კანადელმა მკვლევარებმა.

მეცნიერთა ექსპერიმენტების შედეგებით აღმოჩნდა, რომ კუჭის ფერმენტების ზემოქმედებით ერბოკვერცხში წარმოიქმნება ცილა, რომელიც ანეიტრალებს ანგიოტენეზინის ჰორმონის მოქმედებას. სწორედ ეს ჰორმონი იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას და წნევის აწევას.

ჰიპერტონიისგან შეიძლება მოხარშულმა კვერცხმაც დაგვიცვას, მაგრამ შემწვარი უფრო ეფექტურად მოქმედებს.

# ჩხუბი სიცოცხლეს ახანგრძლივებს?!

საოჯახო ჩხუბზე ორიგინალური თვალსაზრისი აქვთ მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარებს – მათი აზრით, ცოლქმრული ჩხუბი, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ჯანმრთელობისთვის.



17 წლის მანძილზე მეცნიერები აკვირდებოდნენ 192 ოჯახს. წყვილები ოთხ ჯგუფად დაყვეს. პირველში ცოლიცა და ქმარიც აქტიურად არკვევდნენ ერთმანეთში თავიანთ დამოკიდებულებას. მეორეში ქმარი სისტემატურად აგინებდა ცოლს, მესამეში ცოლი შეურაცხყოფდა ქმარს, მეოთხეში კი ცოლ-ქმარი, „სულში ისვამდა“ ერთმანეთს.

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ხანგრძლივად ცოცხლობდა პირველი ჯგუფის წყვილი, მეოთხე ჯგუფის წყვილებს კი, სამწუხაროდ, სხვებზე ადრე „მოსწყინდათ“ ამ ქვეყნად ერთად ყოფნა.

# დიდხანს ძილი თვალების ჯანმრთელობაა



ოფთალმოლოგები მაიოს უნივერსიტეტიდან გვარწმუნებენ, რომ არასაკმარისი ძილი, შესაძლოა, გახდეს მხედველობის ორგანოების სერიოზული დაავადების მიზეზი.

თუ ადამიანმა ვერ გამოიძინა, დილით ის თვალებში დისკომფორტს გრძნობს, ირღვევა გარე სამყაროს გამოსახულების სიმკვეთრე. სისტემატური გამოუძინებლობისას ეს სიმპტომები ქრონიკულ ხასიათს იძენს და ბოლოს, შესაძლოა, გლაუკომას განვითარება. ამას გარდა, გამოუძინებლობამ, შეიძლება, მიგვიყვანოს იშემიურ მხედველობით ნერვოპათიასთან. ამ დაავადების დროს ზიანდება თვალის ნერვი და იწყება მხედველობის დაკარგვა, ზოგჯერ ცალ თვალში.

# დიდხანს ნუ იმუშავებთ



გინდ დაიჯერეთ, გინდ არა და, თურმე ძალზე გრძელი სამუშაო დღე ამაღლებს ჭკვანაკლებობის რისკს, – დარწმუნებულნი არიან ფინელი სწავლულები.

მათ გამოარკვიეს, რომ იმ ადამიანთა ინტელექტი, კვირაში 55 საათს რომ მუშაობენ, უფრო დაბალია მათი კოლეგების ინტელექტზე, სამუშაოს დიდხანს რომ არ უსხედან.

მეცნიერთა აზრით, „შრომისმოყვარეებს“ თან ახლავთ ქრონიკული სტრესი, უძილობა და დეპრესია, რაც ნეგატიურად აისახება ტვინის მუშაობაზე. ამას გარდა, „შრომისმოყვარულებს“ ხშირად უჩნდებათ პრობლემა მოკლევადიან მეხსიერებასთან.

# ჩაი – ინფარქტისა და ინსულტის წინააღმდეგ



ყოველდღიურად სამ ფინჯან მწვანე და შავ ჩაის შეუძლია, მნიშვნელოვნად შეამციროს ინსულტის რისკი. რაც უფრო მეტ ჩაის დალევთ, იმდენად შორს გაისტუმრებთ გულის ავადმყოფობას – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი კოლეგები კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, გააანალიზეს რა ცხრა გამოკვლევა, ინსულტის 4 ათასამდე მეტ შემთხვევას რომ აღწერს.

სამი ფინჯანი ჩაის რეგულარული გამოყენება ინსულტის ალბათობას 21 პროცენტით ამცირებს.

ჩაი აგრეთვე გულის დაცვის მარტივი და უსაფრთხო საშუალებაა. ამ პოპულარული სასმელის სამკურნალო ძალა მდგომარეობს ანტიქსიდანტის epigallocatechin gallate მოქმედებასა და ტეანინის ამინომჟავის მუშაობაში.

## ყველა დიეტა ეფექტურია



წონის დაკლებაში გვეხმარება ყველა დიეტა, – ადასტურებენ კოლორადოს უნივერსიტეტის მეცნიერები.

ისინი გვირჩევენ, ბოლო მოვუღოთ იმაზე მრავალწლიან დავას, თუ რომელი დიეტაა ყველაზე ეფექტური. მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგების განზოგადებით, ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი დიეტა კალორიების დაბალი შემადგენლობით, მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ხილის დიდი შემცველობით გვეხმარება ზედმეტი კილოგრამების დაკლებაში. პირველ ნახევარ წელიწადში ნებისმიერი დიეტით პრაქტიკულად გახდომის მოსურნეები იკლებენ საშუალოდ 6,5 კილოგრამს.

სწავლულებმა ასევე კიდევ ერთხელ დაადასტურეს ის ფაქტი, რომ დაკლებული კილოგრამები ძნელად შესანარჩუნებელია – დიეტის 2 წლის შემდეგ გახდომილთა წონა თავდაპირველზე მხოლოდ 4 კილოგრამითაა ნაკლები.

# ალკოჰოლი ძვლებს ამაგრებს

ამას ამტკიცებენ ბოსტონის ტაფტის უნივერსიტეტის მეცნიერები. მათი მტკიცებით, ალკოჰოლის რეგულარული ზომიერი მოხმარება ამაგრებს ძვლების სიმჭიდროვეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სასარგებლოა ღვინო. თუმცა ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას, პირიქით, მივყავართ ძვლების მასის დაკარგვამდე.

სწავლულებმა გააანალიზეს ძვლების მინერალური სიმჭიდროვე და ალკოჰოლის გამოყენება 1182 მამაკაცისა და 1289 ქალის მიერ.



გამოკვლევების შედეგად სპეციალისტებმა აღმოაჩინეს კავშირი სპირტიანი სასმელების ზომიერ გამოყენებასა და ძვლების გამაგრებას შორის.

# იმკურნალეთ ლუდით!

მას შემდეგ, რაც ხალხმა ლუდის ხარშვა დაიწყო, მასში სულ ახალ და ახალ სამკურნალო თვისებებს ხედავდნენ. ჯერ კიდევ ძველ დროს ექიმები ნიშნავდნენ თბილი ლუდით პირის გამორეცხვას და სმას კბილის ტკივილის გასაყუჩებლად.

საშუალო საუკუნეებში ლუდს ნიშნავდნენ თირკმელებიდან კენჭების გამოსადევნად და გამოფიტვის სამკურნალოდ.

შვრიის ღვინო (რასაკვირველია ექიმების დანიშნული რაოდენობით) შეიძლება, სასარგებლო იყოს. ღვინის მსგავსად, ლუდსაც შეუძლია დაავადებაგადამტანი ბაქტერიების დათრგუნვა. ეს ვისმე შეიძლება, ტყუილი ეგონოს. მაგრამ XVIII და მე-XIX საუკუნის დასაწყისში საავადმყოფოებში წამლების უმრავლესობას მხოლოდ ლუდით სვამდნენ. მას ორგანიზმიდან გამოჰყავს ალუმინის მარილები, ხელს



უწყობს საკვებიდან სპილენძის შეთვისებას, რაც მიკროდოზებში აუცილებელია გულისთვის. ნიღბები და კრემები ლუდის საფუძველზე ასწორებს ნაოჭებს, ლუდის შამპუნი კი კარგად მოქმედებს თმაზე.



# რომ არ გაცივდეთ

ხშირად დაიბანეთ ხელები. ვირუსების უმრავლესობა გადაეცემა საჰაერო-წვეთოვანი გზით (ლაპარაკისას ან დაცემინებისას). მიკრობები, შეიძლება, ორგანიზმში მოხვდეს ხელის ჩამორთმევითაც ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში სახელურებზე ხელის მოკიდებით. ამერიკელმა ექიმებმა ამ მიმართულებით რამდენიმე გამოკვლევა ჩაატარეს. გამოირკვა, რომ ყოველ 2-3 საათში ხელის დაბანა 40 პროცენტით ამცირებს დაავადების ალბათობას.

არ დაგავიწყდეთ ოთახების განიავება. სუფთა ჰაერი სასარგებლოა თქვენთვის და მავნე – მიკრობებისთვის. ოღონდ ორპირ ქარში ნუ დაჯდებით, გადით ოთახიდან.

დღეში ერთხელ მაინც ყელში გამოივლეთ მარილიანი წყალი (ერთი ჩაის კოვზი მარილი ჭიქა წყალზე). ასეთი „დამუშავების“ შემდეგ ლორწოვანი გარსი არაკომფორტული ხდება ვირუსებისა და ბაქტერიებისთვის.

უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა ვალიკო სიმონიშვილმა

## ხსოვნა

# გია ზუბაშვილი



ულმობელი მისი სიკვდილი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალება 40 წლის კაცისა, რომელსაც უზომოდ უყვარდა სამშობლო, ყოველივე ქართული... შესანიშნავი მეუღლე, სამი შვილის მამა ამჟამად ოჯახით მოსკოვში ცხოვრობდა, იქ დაამთავრა წითელ დიპლომზე ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ მოსკოვის დიპლომატიური აკადემია, იყო პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ეთაყვანებოდა მართლმადიდებლობას და ქართულ სულიერებას, ემზადებოდა სამშობლოში დასაბრუნებლად... ვაი, რომ მისი ცხედრით დაბრუნდნენ გუშინწინ მოსკოვიდან მისი ახლობლები. რას ვიზამთ, ასეა წუთისოფელი! ნათელი დაგადგეს, ჩვენო გია!

ახლობლები, მეგობრები

საქმე №2/682 – 2009

განჩინება

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

„10“ მარტი 2009 წელი. ქ. ქუთაისი

[illegible]

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს ბატონ ოთარ ჭითანავას სიძის

გია ზუბაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გივი ლომინაძე, ვახტანგ ყოლბაია, თენგიზ კალანდაძე, ვალერი ჭანტურია, დავით გვაძაბია თანაუგრძნობენ ბატონ ოთარ ჭითანავასა და მის ოჯახს სიძის

გია ზუბაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

დედა ჯულიეტა მიგდისელი, მამა ნოდარ ციგრიაშვილი, მეუღლე ვერა ხახლოვა, შვილები ნოდარი, ვალკა, მირასლავი, ძმა ვიტალი, რძალი დოდო ლომაძე, ძმისწულები სოფიო, სალომე, ბიძები ვანო, ავთო, მამიდები ვენერა, ჟუჟუნა, დეიდა ვერიკო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



გია ციგრიაშვილი

პანაშვიდი 24, 25 III, 15 სთ. გამოსვენება 26 III, 14 სთ. მისამართი: დიღმის მასივი, V კვ. XIX კორპ.

---

მეუღლე ზაირა სიხარულიძე, შვილები ნინო, ვასიკო, რძალი ეკა გაბუნია, სიძე გოჩა აბაშიძე, შვილიშვილები გურიკა, თაზო, ნიკა, სანდრო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ცხაკაია

პანაშვიდი 24, 25 III, 17 სთ. მისამართი: ბორჯომის ქ. №7. გამოსვენება 26 III, 15 სთ. საბურთალოს ეკლესიიდან.

---

თამაზ გაბუნია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მძახლის

თამაზ ცხაკაიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ნანა კანდელაკი, მეუღლე ილო ბარათაშვილი, შვილები ინა, მანანა ბარათაშვილები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

ბიჭი ზაალიშვილის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

დედა ლიანა ბოჭორიშვილი, მეუღლე ლოლიტა ჭითანავა, შვილები სოფიო, ალექსანდრე, ნინო, და მაია ზუბაშვილი, სიმამრი ოთარ ჭითანავა, სიდედრი ლუარა სოტკილავა, სიძეები ზურაბ ტრაპაიძე, სალვატორე ნირტა, ლიკა ჭითანავა, ოთო ჭითანავა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია ემზარის ძე ზუბაშვილი

გამოსვენება 24 III, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან 15 სთ.

---

მურად ანჯაფარიძე, გია გვაზავა, დიმიტრი ჯაიანი გულისტკივილით თანაუგრძნობენ ბატონ ოთარ ჭითანავას და მის ოჯახს სიძის

გია ზუბაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აცხადებს აუქციონს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი და ზენორმატიული მატერიალურ-ტექნიკური ქონება ჯართის სახით.

ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.

| ლოტი # | საქონლის დასახელება | ზომის ერთ. | სავარაუდო რაოდენობა | საწყისი ღირებულება ლარი | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასტანდარტული შავი ლითონის, შერეული შავი ლითონის და თუჯის, ალუმინის, უჟანგავი ფოლადის და არასტანდარტული შერეული ლითონის ნაკრები ჯართი | ტონა | 372,255 | 58314 | 500 |

გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:** საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი „220101502“, ანგარიშის №120236700.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად ალიარებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება „ბე“-ს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2009 წლის 24 მარტიდან 2009 წლის 21 აპრილის ჩათვლით 10 საათიდან 19 საათამდე, ხოლო 22 აპრილს 10 საათიდან 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 22 აპრილს 12 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №90.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
– „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;
– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

**ტელ: 95-28-28.**

**მის: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

◉ წყალში გამარჯვებული

# ადამიანი – დელფინი

(მეშვიდე გვერდიდან)

ბატონ ნიკოს განსაკუთრებით უყვარდა პეტრე. ამაყობდა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის სპორტსმენი, დიდი ავტორიტეტის მქონე, საბჭოთა კავშირის ნაკრების და მოსკოვის „დინამოს" კაპიტანი, გრძელდება. კაკოს თბილისში ჩამოსვლა კი ჩვენთვის იყო დიდი დღესასწაული. მეგობრები და ნათესავები მხოლოდ იმით იყვნენ დაკავებულნი, როგორ ეცათ მისთვის პატივი. სტუმრიანობის პერიოდში ყველაზე დიდ დროს მაინც საცურაო აუზს უთმობდა. „ლაგუნა-ვერე", ვებულები. ერთი უცნობი მამაკაცი მომიახლოვდა და მეკითხება:

– ჩვენ აქ დანიძლავებულები ვართ და გვაინტერესებს, ეს პეტრე მშვენიერაძეა?

– დიახ, – ვუპასუხე.

– მაშინ ერთი წინადადება მაქვს, თუ შეიძლება.



– კი ბატონო, მითხარით, რაშია საქმე?! – იყო ჩემი პასუხი.

– 5000 მანეთს ვდებთ, თუ მშვენიერაძე რიწის ტბას გადაცურავს.

რიწის ტბაში ცურვა დაბალი ტემპერატურისა და უცნაური სიღრმის გამო რეკომენდებული არ იყო, მაგრამ კაკოსთან შეთანხმებით წინადადება მიღებულ იქნა. თანხა ქალბატონ მედეას ჩავაბარეთ. კაკო ხეებში გაუჩინარდა, გაიხადა. მე ყოველი შემთხვევისთვის კატერი დავიქირავე და მოვლენების განვითარებას დაველოდე. საზოგადოებაში წამსვე გაჟონა ამ ამბავმა და სანაპირო მაყურებლებით გაივსო. ტყიდან გამოსული კაკო თავით გადაეშვა წყალში. მაგრამ მოხდა საოცრება. მშვენიერაძე წყლიდან ნაპირზე ამოხტა. ხალხმა იღრიალა. ღრიალი დამთავრებული არ იყო, რომ კაკო კვლავ გადაეშვა ტბაში და ისეთი სიჩქარით გაცურა მეორე ნაპირისკენ, რომ კატერიც კი ვერ დაეწეოდა. საღამოს რესტორანში სუფრა გაიშალა. თამადა ეროსი მანჯგალაძე იყო. მოგებული თანხა რესტორანში დარჩა და იქვე გულახდილობამ იჩინა თავი.

– ჩვენ ვიცოდით, პეტრე მშვენიერაძე რომ გადაცურავდა რიწას. მიზანი თქვენი გაცნობა და დაახლოება იყო. ეს ჭეშმარიტებაა.

პირადად მე, კაკო უკვდავი მეგონა, მაგრამ სიკვდილმა უკვდავება არ იცის. უკვდავება ჩვენ ვიცით, მისმა მეგობრებმა.

24 მარტი პეტრე (კაკოძ მშვენიერაძის დაბადების დღეა. დღეს იგი 80 წლის გახდებოდა. მაშ გაუმარჯოს კაკოს იმქვეყნიურ უკვდავებაში. იგი ტროეკუროვის სასაფლაოზე განისვენებს. გულზე თბილისის მიწა აყრია. საფლავის ქვას ერთ მხარეს ქართული წარწერა – „წმინდა გიორგი" ამშვენებს.

ოლიმპიური ჩემპიონი, მრავალგზის პრიზიორი მისი სტუდენტი იყო.

ასევე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო კაკოს მეუღლე ნათელა გოგუა, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის მოსკოვში ნაღდი ქართული ოჯახის შენარჩუნებაში, ვაჟების ქართული სულისკვეთებით აღზრდაში. შვილები, ნუგზარ და კახა მშვენიერაძეები, მამის კვალს გაყვნენ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ნუგზარი, ოლიმპიური ჩემპიონი კახა თბილისში, კამოს ქუჩაზე მდებარე სამშობიარო სახლში დაიბადნენ... სამშობლოს და მამის სიყვარული მათთვის განუყოფელია.

მოსკოვში მშვენიერაძეების ბინა საქართველოდან და, განსაკუთრებით, თბილისიდან ჩასულების გასაჩერებელი ადგილი გახლდათ. ტრადიცია ახლაც ვლადიმერ გოიაშვილის მასპინძლობით პეტრეს მიმართ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა.

კაკოს უამრავი მეგობარი ჰყავდა როგორც მოსკოვში, ისე თბილისში. ზღვაზე დასვენების ადგილი მუდამ აფხაზეთი იყო, ხოლო შემდეგ სარფი, ქობულეთი და ბათუმი.

ერთხელ ბიჭვინთაში ვისვენებდით და რიწის ტბაზე ავედით. კაკოს თან ახლდა ცნობილი წყალბურთელი ვალია პროკოპოვი. ჩვენთან ერთად იყვნენ ქ-ნი მედეა ჯაფარიძე და ბ-ნი რეზო თაბუკაშვილი, ბატონი ეროსი მანჯგალაძე და გაგრის პროკურორი. რიწის ტბის მიდამოები ხალხს ვერ იტევდა. იმ დროს მხატვრული ფილმის გადაღება მიმდინარეობდა. მთავარ როლებში მედეა ჯაფარიძე და ეროსი მანჯგალაძე იყვნენ დაკა-

**ჟანი სიხარულიძე**

◉ გუშინ – დღეისთვის

## ლიტერატურული ასოციაციები

### სიკვდილს რომ უნდა ამარცხებდეს...



თემურ ჩხეიძე ჰყვებოდა, უშანგი ჩხეიძის იუბილეზე როგორ წაიყვანა შეუძლოდ მყოფი ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე. ძალიან გვაფიქრებდა ქალბატონი ვერიკოს ჯანმრთელობა, მაგრამ უმისოდ უშანგის იუბილეს ჩატარება არ გვინდოდაო. სცენაზე რომ გავიდა, საოცარი სიმხნე და ენერგია შეიძინაო... საღამოს დასრულების შემდეგ მძიმედ დაღლილს დანანებით უთქვამს, ბედნიერი ვიქნებოდი, სცენაზე რომ მოვმკვდარიყავიო...

2008 წლის აგვისტოში მთელმა მსოფლიომ ნახა, დამფრთხალი მთავარსარდალი როგორ ეძებდა მშველელს, როგორ გარბოდა ბრძოლის ველიდან...

**არადა, მთავარსარდალს ბრძოლის ველზე სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს; პირიქით, სიკვდილს უნდა ამარცხებდეს მთავარსარდალი...**

### გახსოვთ?

**იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს:** ვაჟა-ფშაველას თონეთში მუშაობისას ჩხუბი მოსვლია რუსის ოფიცერთან (აუგი თქვა ქართველებზეოძ. ამას გართულება მოჰყოლია. ვაჟას უთქვამს: „თუ საზოგადოებას რაიმე უსიამოვნება მოელის ჩემის გულისთვის, მე თვითონ დავანებებ თავს აქაურ მასწავლებლობასო"...

დიმიტრი თავდადებული გახსოვთ?

„კახეთის მხსნელი გმირები – ბიძინა, შალვა, ელიზბარ" – გახსოვთ?..

**მსგავსი რამდენი მაგალითი უნდა შევახსენოთ ჩვენს ხელისუფალს, რომ ეშველოს ქვეყანას?**

### ღმერთმა აშოროს და...

გუშინ ტელევიზიით (9. 03. 2009ძ მოვისმინე კრიტიკა პრეზიდენტისა: იაპონურ რესტორანს ესტუმრა და თევზით („სუში"ძ კარგად მოილხინაო; ეს ყოველივე საქვეყნოდ გააკეთაო, ამ მძიმე მარხვაში ასეთი მაგალითი არ უნდა მისცესო ერს...

**მე სხვა რამე მაფიქრებს... სმა-ჭამის დიდად მოტრფიალე ლუარსაბ თათქარიძემ უზომოდ მოილხინა ნათლიმამისგან მოძღვნილი კალმახით და... საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის ეს ლხინი...**

**გიორგი გოგოლაშვილი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

**კარგია ორ ადგილას მუშაობა! ბევრი ფული გროვდება! იმიტომ კი არა, რომ ბევრს გიხდიან, არამედ იმიტომ, რომ დასახარჯავად დრო არა გაქვს.**

* * *



**– ჭკვიანი ძაღლები არსებობენ? – ეკითხება ბიჭუნა კინოლოგს.**

**– არსებობენ, ბიჭუნა, არსებობენ. ზოგჯერ თავიანთ პატრონებზე ჭკვიანი ძაღლებიც არსებობენ. თვითონაც მყავდა ერთი ასეთი ძაღლი...**

* * *

**– მამი, შეუძლია მედვედევს პუტინის გათავისუფლება?**

**– ცხადია, შეუძლია, თუ იმპიჩმენტი სურს.**

* * *

**სილამაზე, ცხადია, გადაარჩენს სამყაროს, მაგრამ მაშინვე მსხვერპლად შეიწირავს მას.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.